აღმოსავლეთ ევროპის
პროგრამის ანგარიში

საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში

EUROPEAN VALUES
Protecting Freedom

2021

უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი

უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი არასამთავრობო, მიუკერძოებელ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც თავისუფლებების და სუვერენიტეტის დაცვას ემსახურება. ორგანიზაციის მიზანს ჩეხეთის რესპუბლიკაში ლიბერალური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ტრანსატლანტიკური ალიანსის დაცვა წარმოადგენს. ჩვენ ხელს ვუწყობთ ევროპის დაცვას მავნე გავლენისგან, განსაკუთრებით, რუსეთის, ჩინეთის და ისლამური ექსტრემისტებისგან.

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ცენტრალურ ევროპაში ჩეხეთის თავისუფალ, უსაფრთხო და წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელიც აშშ–სთან მტკიცე მოკავშირეობის საფუძველზე ტრანსატლანტიკური საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იქნება.

ავტორები

ეთო ბუზიაშვილი, ატლანტიკური საბჭოს DFRLab
გივი გიგიტაშვილი, ატლანტიკური საბჭოს DFRLab
თინათინ ხიდაშელი, სამოქალაქო იდეა
ანი კინწურაშვილი, სამოქალაქო იდეა
მარიამ წიწიკაშვილი, GRASS
დავით ნაროუშვილი, GRASS
ნიკა მამულაძე, GRASS
იაკობ ლაჩაშვილი, GRASS
თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი
მაიკო რატიანი, მედიის განვითარების ფონდი
ანა ჩიტალაძე, მედიის განვითარების ფონდი

ავტორები

დევიდ სტულიკი, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი
კრისტინა ბაგე, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი

შენიშვნა

ანგარიში საქართველოში უცხო ქვეყნების გავლენას მიმოიხილავს და მოიცავს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, პოლიტიკურს პარტიებს და ეკლესიას. აღნიშნული ნაშრომის მიზანია პრობლემების ფართო სპექტრის გამოკვეთა და ყურადღების გამახვილება მესამე ქვეყნების მიერ განხორციელებულ და დაფინანსებულ კამპანიებზე, დაწყებული პოლიტიკური შეღწევით და პოლიტიკური მიზნებისთვის კოროზიული კაპიტალის შემოდინებით დამთავრებული. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კვლევითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების "ატლანტიკური საბჭოს DFRLab-ის, სამოქალაქო იდეის, საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) და მედიის განვითარების ფონდის ერთიან ძალისხმევას.

აღნიშნული ანგარიში პრაღაში მოქმედი უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრის საქართველოში ორწლიანი პროექტის ფარგლებში მომზადდა. ნაშრომის მიზანია გააძლიეროს ქართული სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობა უცხოური მავნე ზეგავლენის გამოვლენისს და მათზე რეაგირების ასპექტში. პროექტი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამის" და USAID-ის „ახალი დონორების გამოწვევის პროგრამის" ხელშეწყობით განხორციელდა.

შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით

ფოტო საავტორო უფლებები:
გვ. 7: flickr.com/Vladimer Shioshvili
გვ. 11: flickr.com/Marco Fieber

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი	4
1. რუსული გავლენის პოლიტიკური აქტივები	5
2. საგარეო გავლენის არასამთავრობო აქტივები	9
2.1. კრემლის არასამთავრობო აქტივები საქართველოში	9
2.2. ჩინეთის გავლენა აკადემიურ და არასამთავრობო სექტორებში	13
3. ეკლესია, როგორც რუსული გავლენის ცალკეული ინსტრუმენტი	15
4. რადიკალური და ექსტრემისტული ჯგუფების მხარდაჭერა	18
5. ეთნიკურ უმცირესობები გარე აქტორების სამიზნეში	22
6. ეკონომიკური მიზნების მქონე პოლიტიკური საქმიანობა	25
6.1. რუსული გავლენები ეკონომიკასა და ენერგეტიკის სექტორში	25
6.2. ჩინეთის ეკონომიკური გავლენა და აქტივობები	28
7. სადაზვერვო საქმიანობა და გავლენის ოპერაციები	30
8. დეზინფორმაციული კამპანიები	33
8.1. რუსეთის დეზინფორმაციული ძალისხმევა	33
8.2. ჩინეთი და დეზინფორმაცია	36
დასკვნა	38

აბსტრაქტი

უცხოური მავნე ზეგავლენის ძირითად აქტორებს, რომლებზეც კვლევაში ყურადღება იქნება გამახვილებული, რუსეთი და, შედარებით ნაკლები დოზით, ჩინეთი წარმოადგენენ, ვინაიდან სწორედ ეს ორი ქვეყანა ერევა ყველაზე ხშირად საქართველოს საშინაო საქმეებში. ამ ორ ქვეყანასთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში, გაანალიზებული იქნება სხვა ქვეყნების, მაგალითად - თურქეთის როლიც.

ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა ევროკავშირსა და ნატოს ნებისმიერ სხვა ალტერნატივაზე წინ აყენებს და ეს ციფრები უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში არ შეცვლილა. ამასთან, საქართველოში, როგორც რუსეთის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების, ისე რადიკალური მოძრაობების რაოდენობის ზრდაც შეინიშნება. რადიკალური ჯგუფების და მათი წევრების რაოდენობა იმდენად საგანგაშო არ არის, რამდენადაც ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ამ ჯგუფებს ირიბად მხარს უჭერს, რაც მათი მხრიდან პასიურ და, გარკვეულწილად, წამახალისებელ დამოკიდებულებაში ვლინდება. ამით აიხსნება მათი რაოდენობის ზრდაც, ვინაიდან მათი მარგინალიზება ან სახელმწიფოს მიერ ადეკვატურად დასჯა არ ხდება. თავის მხრივ, ვერც საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებმა შეძლეს საქართველოში რუსული მავნე გავლენის აგენტების პროაქტიულად გამოვლენა და კრემლის ინტერესებზე მომუშავე ჯგუფების ღიად დასახელებისგანაც თავს იკავებენ.

კვლევაშიასევეგამოიკვეთა,რომრუსეთისრბილიძალისსტრატეგიამართლმადიდებელი ქრისტიანობის დასავლურ ღირებულებებთან შეუთავსებლობით აპელირებს, რაც ქართულ სამღვდელოებაში დამკვიდრებულ მოსაზრებებსაც ეხმიანება. სხვა გავრცელებული ნარატივები საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეაზე ან ანტი-თურქულ რიტორიკაზეა კონცენტრირებული. ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვანწილად, ისტორიულ შედარებებს და ფართოდ გავრცელებულ ყალბ ისტორიებს ეფუძნება, რომელთა თანახმად, ანკარამ აჭარის რეგიონი დაისაკუთრა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე თურქული სამხედრო ბაზების გახსნას აპირებს. აშშ-ის მიერ თბილისში დაფუძნებული ლუგარის ლაბორატორია, წლების განმავლობაში, რუსული დეზინფორმაციული მანქანისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. როგორც მოსალოდნელი იყო, 2020 წელს ლუგარის ლაბორატორიაზე თავდასხმებს ჩინეთიც (საგარეო საქმეთა სამინისტრო) შეუერთდა, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორია COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად საიმედო და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა.

რუსეთის დეზინფორმაციულ აპარატს ნელი, თუმცა სტაბილური ტემპებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაც (PRC) აჰყვა და ქართულ სამეცნიერო სფეროში, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მათი ოპერატიული და სისტემატური საქმიანობა სულ უფრო მეტად თვალშისაცემი ხდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა ევროკავშირს და ნატოს უჭერს მხარს, თუმცა მკვლევარები არსებული პრიორიტეტების ცვლილების პირველ ნიშნებს უკვე ამჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ, ამ ეტაპზე, საგანგაშო არაფერია, მნიშვნელოვანია დეზინფორმაციული კამპანიებსა და ყალბი ნარატივების წინააღმდეგ პროაქტიული მუშაობა და მოქმედებების სამომავლო დღის წესრიგის განსაზღვრა.

შესავალი

საქართველოს ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიული პოზიცია უკავია, შესაბამისად, იგი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. სამწუხაროდ, 30 წლიანი დამოუკიდებლობის და დასავლური პოლიტიკური, ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველომ ჯერ ვერ მოახერხა, რომ საკუთარი გეოსტრატეგიული მდებარეობა გეოპოლიტიკურ უპირატესობად გარდაექმნა, შესაბამისად, იგი მყიფე და ჯერაც გარდამავალი დემოკრატიისთვის, ერთდროულად, უპირატესობასაც წარმოადგენს და წყევლასაც. მაშინ როდესაც, მსოფლიო სტრატეგიულ ენერგოუსაფრთხოებაზე, თუ ჩინეთსა და დასავლეთს შორის ახალი სატრანზიტო კორიდორების თაობაზე გეგმებს აწყობს, საქართველო უსაფრთხო და სანდო ჰაბს წარმოადგენს და მსოფლიო პოლიტიკის დიდ სცენაზე მნიშვნელოვანი მოთამაშის პოზიციას ინარჩუნებს. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, ეს არის ძირითადი, რატომაც საქართველო რუსეთის ფედერაციის რბილი და ხისტი ძალის მუდმივ სამიზნედ რჩება.

წინამდებარე კვლევა, რომელიც ანალიტიკური ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის მიერ მომზადდა, საქართველოში მესამე/გარე ქვეყნების გავლენის გამოკვეთას ისახავს მიზნად, იქნება ეს, ინსტიტუტებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მედიაზე, პოლიტიკურ პარტიებსა თუ ეკლესიაზე გავლენა. ნაშრომის მიზანია, ყურადღება გაამახვილოს, როგორც პრობლემების ფართო სპექტრზე, ასევე კამპანიებზე და მესამე ქვეყნების მიერ დაფინანსებულ საქმიანობაზე, ინფილტრაციიდნ დაწყებული, პოლიტიკური მიზნებისთვის კაპიტალის ნაკადების შემოდინებით დამთავრებული.

ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაწილი რუსეთის მიერაა ოკუპირებული. საქართველოში სამი სამხედრო ბაზა და ორი ე.წ საელჩოა, რომლებიც თბილისის კონტროლის მიღმა მოქმედებენ. რუსეთის დროშები ქვეყნის ძირითადი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ ფრიალებს და მოწმენდილ ცაზე სამხედრო ტექნიკაც ჩანს. ამ ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საკმარისია, რათა მთავრობას აქტიური ქმედებებისკენ, ხოლო ქართული მოსახლეობის ყველა ჯგუფს რუსეთის შესახებ მათი მოსაზრებების შეცვლისკენ უბიძგოს, თუმცა ფაქტები და გამოკითხვები ამის საპირისპიროს მეტყველებს.

რაც შეეხება გამოყენებულ მეთოდოლოგიას, ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მონაცემები და ფაქტები შემდეგ წყაროებს ეფუძნება:

- ღია წყაროებს, მათ შორის სამთავრობო დოკუმენტებს და მაღალი დონის ოფიციალური პირების საჯარო განცხადებებს, არსებულ კვლევებსა და ანალიტიკურ ნაშრომებს (აკადემიურ და ჟურნალისტურ კვლევებს), ასევე ღია წყაროებში გავრცელებულ ინფორმაციას.
- სიღრმისეულ ინტერვიუებს ექსპერტებთან და ოფიციალურ პირებთან, რომლებიც აკადემიურ, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებრივ სექტორებს წარმოადგენენ.

1. რუსული გავლენის პოლიტიკური აქტივები

საქართველო, რომელიც აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე, რუსეთსა და თურქეთს შორის მდებარეობს, სხვადასხვა რეგიონალური აქტორების გავლენას განიცდის, თუმცა რუსეთის სამხედრო ყოფნის და კრემლის მიერ ოკუპირებული ორი ტერიტორიის გამო, სწორედ რუსეთი წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოებისთვის უმთავრეს საფრთხეს.

რუსეთი ამ რეგიონს თავისი გავლენის ექსკლუზიურ სფეროდ განიხილავს და მისი სტრატეგიული მიზანია, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას ხელი შეუშალოს. როგორც „ბთკკ" – პოლიტიკის კვლევის ჯგუფის ანალიტიკოსმა[1] ექსპერტთა ინტერვიუში განაცხადა, რუსეთის სურს ნეიტრალური ქვეყანა ჰყავდეს თავის საზღვართან და მისი უმთავრესი მიზანია საქართველოს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციის მიაღწიოს. როგორც ექსპერტთა ინტერვიუში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გია ნოდიამ აღნიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ კრემლში იაზრებენ, თუ რამდენად არარეალისტურია ქართულ-ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ახლო პერსპექტივაში, რუსეთის ამჟამინდელი მიზანია შეაჩეროს ან, სულ მცირე, შეაფერხოს საქართველოს დასავლეთთან თანამშრომლობა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია. ექსპერტები სხვა მეზობლების გავლენაზეც საუბრობენ: თურქეთის ეკონომიკურ ინტერესებზე და მის სურვილზე, რომ თურქეთის მიმართ კეთილგანწყობილი და მეგობრული გარემო ჩამოყალიბდეს; აზერბაიჯანის და სომხეთის ინტერესებზე, რაც საქართველოში მათი ეთნიკური უმცირესობებითაა განპირობებული; ჩინეთზე, რომელიც საკუთარი რბილი ძალით მოქმედებს და ეკონომიკურ კავშირებს აღრმავებს და ა.შ. ამასთან, ყველა ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ სხვა აქტორები ახლოსაც ვერ მიდიან რუსეთთან, რადგან იგი მუდმივად და მიზანმიმართულად ცდილობს გავლენა მოახდინოს და ძირი გამოუთხაროს საქართველოში არსებული სიტუაციას. ამასთან, საკუთარი მიზნების მისაღწევად იგი სულ უფრო მეტად იყენებს ფარულ, კგბ-ის სტილის მეთოდებს. ნოდიას თქმით, გაუმჭვირვალობის და კგბ-ს სტილის ტექნოლოგიის გამოყენების ფონზე, ძალზე გართულებულია რუსეთის ჩართულობის შესახებ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება.

მყარი მტკიცებულებები ორი პოლიტიკურ პარტიის, პატრიოტთა ალიანსის[2] და ქართული მარშის[3] მიმართ არსებობს. ეს უკანასკნელი რადიკალური მემარჯვენე მოძრაობაა, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკურად პარტიად ტრანსფორმირდა. ორივე პოლიტიკური პარტია ფიგურირებს სხვადასხვა დოკუმენტებში, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კრემლის ჩარევას შეეხება.

კრემლის გამოჩენილი კრიტიკოსის, მიხეილ ხოდორკოვსკის მიერ დაფუძნებულმა რუსულმა საგამოძიებო პროექტმა, „დოსიე ცენტრმა", 2020 საპარლამენტო არჩევნებამდე საგამოძიებო ანგარიში გამოაქვეყნა, რომელის თანახმად, "პატრიოტთა ალიანსის" საარჩევნო კამპანია რუსეთის მიერ იყო მხარდაჭერილი.[4] ანგარიში საგარეო დაზვერვის სამსახურის (SVR) გენერალ ვლადიმერ ჩერნოვის სამდივნოდან მოპოვებულ დოკუმენტებს ეფუძნება და ალიანსთან ურთიერთობის ქსელს ააშკარავებს. პარტიის ლიდერმა, ირმა ინაშვილმა, ბრალდებებს "აბსურდული" უწოდა. ამასთან, მან დაადასტურა, რომ პატრიოტთა ალიანსმა საარჩევნო კამპანიისთვის რუსული სააგენტო (მისი დასახელების გარეშე) დაიქირავა, თუმცა მან ასევე განაცხადა, რომ პარტია სარგებლობს სხვა ოთხი ამერიკული და ებრაული კომპანიების სერვისებითაც, თუმცა მათი დასახელებისგანაც თავი შეიკავა.

1 2005 წელს დაარსებული ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეთნიკური უმცირესობების და საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებზე აწარმოებს კვლევებს.
2 პატრიოტთა ალიანსის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი, http://mythdetector.ge/en/profile/alliance-patriots-georgia.
3 ქართული მარშის პროფილი, წყარო: მითების დეტექტორი, http://mythdetector.ge/en/profile/georgian-march.
4 "How the Kremlin interferes in the internal politics of neighboring countries", Dossier Center, https://dossier.center/georgia.

ყურადღების ცენტრში კიდევ ერთი საარჩევნო სუბიექტი, „ქართული მარში“ ექცევა, რომელიც ქართული იდენტობის დამცველად პოზიციონირებს; მაგალითად, ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ანგარიშში[5] იგი მოხსენიებულია, როგორც ჯგუფი, რომელსაც ანტი-ლიბერალური დისკურსი შემოაქვს და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგის მიმართ საზოგადოების პოლარიზაციას ისახავს მიზნად. ამ ანგარიშის გარდა, წინასაარჩევნო პერიოდში, გავრცელდა აუდიოჩანაწერი,[6] რომელშიც „ქართული მარშის“ ლიდერი, სანდრო ბრეგაძე, სავარაუდოდ, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრს და რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ყოფილ თანამშრომელს საქართველოში რუსული გაზის გაყიდვასა და რუს ბიზნესმენებთან კავშირებზე ესაუბრებოდა.[7]

ორივე პარტია - „პატრიოტთა ალიანსი“ და - „ქართული მარში“ უარყოფენ ინფორმაციას რუსულ კავშირებსა და კრემლის მხარდაჭერაზე. ნოდიას აზრით, რუსული ოკუპაციის გამო, პარტიების მხრიდან საკუთარი თავის ღიად პრორუსულად წარმოჩენა არაპოპულარული და არაპროდუქტიულია. „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“[8], კრემლის მხარდამჭერი კიდევ ერთი პარტიაა, რომელიც უფრო ღიად აკრიტიკებს საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების იდეას უწევს ადვოკატირებას. ამ უკანასკნელმა, ბოლო ორი არჩევნების პერიოდში მხარდაჭერის კლება განიცადა[9], ხოლო „პატრიოტმა ალიანსმა“, რომელიც საკუთარ მედია პლატფორმასაც იყენებს, ბოლო არჩევნებში 3.14% მიიღო[10]. ამავდროულად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როდესაც მათ ამომრჩეველთა 5.01%-მა დაუჭირა მხარი, პარტია ამჯერად ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა.

ბოლო წლების განმავლობაში, „პატრიოტთა ალიანსმა“ ამომრჩეველთა მხარდაჭერის მობილიზება ანტიდასავლურ ჭრილში თურქოფობიის გამოყენებით მოახერხა. გავრცელებული მესიჯი - "თუ რუსეთი ოკუპანტია, მაშინ თურქეთიც ოკუპანტია" - საქართველოს დღევანდელი უსაფრთხოების გამოწვევებიდან (რუსეთის მიერ ოკუპაცია) ფოკუსის ისტორიული ოკუპაციისკენ (ოსმალეთის იმპერიის მიერ ოკუპაცია) გადატანას და ისტორიული ტრავმის ხელახლა აქტუალიზაციით უსაფრთხოების გამოწვევების გადაფარვას ისახავდა მიზნად.[11]

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის საკითხებიდან ყურადღების გადატანის მიზნით, მმართველმა პარტია - „ქართულმა ოცნებამ“ ანალოგიური ტაქტიკა გამოიყენა, როდესაც მთავრობამ სისხლის სამართლის გამოძიება წამოიწყო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მოტივით საჯარო მოხელეები დააკავა. ეს საქმე, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის სადავო მონაკვეთზე მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ეხება, რუსეთის ჩარევის თვალსაზრისითაც საფრთხის შემცველია: ადგილობრივმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს საგამოძიებო ორგანოებს მტკიცებულების სახით ტოპოგრაფიულ რუკებს რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებული ბიზნესმენი აწვდიდა.[12] როგორც MDF–ის წინასაარჩევნო ანგარიშში[13] ჩანს, ამ თემაზე ჩატარებული კამპანია ხელს უწყობდა იმ ნარატივის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური

5 International Security and Estonia 2019, 51, https://www.valisluureamet.ee/pdf/raport-2020-en.pdf.
6 Alleged recording of head of Georgian ultra-right party and Russian MP surfaces, Agenda.ge 22 სექტემბერი 2020, https://agenda.ge/en/news/2020/2922.
7 იგორ მოროზოვის ბიოგრაფია, RIAC, https://russiancouncil.ru/en/_igor-morozov/
8 დემოკრატული მოძრაობა - საქართველოს პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი, https://bit.ly/3c2oVya.
9 0,85% support according to the Central Election Commission 2020 elections result. Forumila TV, https://formulanews.ge/Election_Post_2020.
10 Elections 2020: all votes counted. What happens next? Agenda.ge, 2020 წლის 2 ნოემბერი. https://agenda.ge/en/news/2020/3444.
11 "Anti-Western Propaganda 2019", MDF, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/173.
12 კარტოგრაფების საქმე - პოლიტიკურად მოტივირებული ახალი გამოძიება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და სხვ. 9 ოქტომბერი 2020, https://transparency.ge/en/post/cartographers-case-politically-motivated-investigation.
13 წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020- ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია, MDF, 2020, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/191.

ოპონენტები ეკლესიებსა და სამშობლოს ყიდიან, ხოლო მთავრობა საფრთხეებს ანეიტრალებს. აღნიშნული, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ულტრანაციონალისტური და პრორუსული ძალებისთვის, რათა აზერბაიჯანი და რუსეთი საფრთხეებისა და ოკუპაციის კონტექსტში განიხილონ.

ბოლო წლების განმავლობაში ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიშის დათესვა ანტიდასავლური პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი გახდა და ძირითადად „პატრიოტთა ალიანსთან" ასოცირდება, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია თურქეთის არმიის შემოსვლას და ტერიტორიების დაკარგვის ტოლფასია. ამასთან, პროპაგანდა ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის[14] მანიპულაციურ ინტერპრეტაციას ეყრდნობა და ამტკიცებს, თითქოს ალიანსში ინტეგრაციით საქართველო ორივე ოკუპირებულ ტერიტორიას დაკარგავს.

შიშის და სასოწარკვეთის დანერგვის პარალელურად, „პატრიოტთა ალიანსი" ყველაზე მეტად ნატო-ს საწინააღმდეგო კომენტარებით გამოირჩეოდა. ამასთან, პარტია ხაზს უსვამდა ნეიტრალიტეტის მხარდაჭერის და რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების საჭიროებას.[15] კრემლის მხარდამჭერი კიდევ ერთი პარტია, „გაერთიანებული დემოკრატები", საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტს უჭერს მხარს. ორივე პოლიტიკური პარტია ემხრობა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გზით მოგვარებას, რითაც უარყოფენ კონფლიქტის მოგვარების ჟენევის საერთაშორისო ფორმატს და რუსეთთან პირისპირ დარჩენას ამჯობინებენ, თუმცა, არა როგორც კონფლიქტის მხარესთან, არამედ, როგორც ქართველებს და აფხაზ-ოსებს შორის მედიატორთან.

კიდევ ერთი წინააღმდეგობრივი საკითხი, სადაც კრემლის მომხრე „პატრიოტთა ალიანსის" ნარატივი მმართველი პარტია „ქართული ოცნების" ქმედებებს დაემთხვა, ანაკლიის ღრმა-წყლოვანი საზღვაო პორტის მშენებლობა იყო, რომელიც რუსეთის ინტერესებთან შეუთავსებლად განიხილებოდა.[16] „პატრიოტთა ალიანსის" ერთ-ერთი ლიდერის აზრით, მხოლოდ მიუმხრობლობის პირობებში ექნება საქართველოს საშუალება, რომ ანაკლიაში საზღვაო პორტი ჰქონდეს, ვინაიდან ნეიტრალიტეტი იმის გარანტიას უზრუნველყოფს, რომ "რუსეთმა საფრთხეს არ იგრძნოს".[17] აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს განცხადებით[18], საზღვაო პორტი საქართველოს თავისუფალ ეკონომიკებთან ურთიერთობას განამტკიცებს და ხელს შეუწყობს, რომ საქართველო ჩინეთის და რუსეთის ეკონომიკური ინტერესების მსხვერპლი არ გახდეს. ამის მიუხედავად, 2020 წლის დასაწყისში მთავრობამ ანაკლიის კონსორციუმთან ხელშეკრულება შეწყვიტა და კონსორციუმის დამფუძნებლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

რუსეთი ქართული საზოგადოების პოლარიზებასაც ღირებულებების გარშემოც ცდილობს, რისთვისაც, საზოგადოებაში ეთნიკური, რელიგიური ან სქესობრივი იდენტობის დაკარგვის შიშს თესავს. „ქართული მარშის" და სხვა ანტილიბერალური (ქართული იდეა) და კრემლის მხარდამჭერ (პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის) იმ აქტორთა ნარატივები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი ანტილიბერალური კამპანიის მხარდაჭერის მობილიზება ვერ მოახერხეს, უფრო დეტალურად, რადიკალური და ექსტრემისტული ჯგუფების მხარდაჭერის სექციაში განვიხილავთ.

რუსეთის ფედერაციის პოზიტიური კონსტრუქციული სტრატეგია, რომელიც ნეგატიურს (შიშები და უნდობლობა დემოკრატიის, ლიბერალიზმის და სტრატეგიული

14 "ანტიდასავლური პროპაგანდა - 2019", MDF, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/173.
15 Tamar Kintsurashvili, "Pre-election Media Monitoring 2020", Tamar Kintsurashvili, MDF, http://mdfgeorgia.ge/eng/viewlibrary/191.
16 Ana Chitaladze "Why is Russia Afraid of the Anaklia Port?", Myth Detector, 2019 წლის 11 სექტემბერი http://mythdetector.ge/en/myth/why-russia-afraid-anaklia-port.
17 თამარ კინწურაშვილი, წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020- ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია, MDF, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/173.
18 RFE/RL, 11 ივნისი, 2019. Pompeo: I communicated our hope that Georgia completes the port project, https://bit.ly/2MLSWWG.

ვინაიდან ქართული საზოგადოება დიდწილად რეზისტენტული აღმოჩნდა კრემლთან ღიად დაკავშირებული ორგანიზაციების მიმართ და, შესაბამისად, ამგვარი ჯგუფების უმეტესობის დაფინანსება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა, რუსეთმა საკუთარი აქცენტი საქართველოში ულტანაციონალისტურ მარიონეტულ ჯგუფებზე გადაიტანა.

პარტნიორების მიმართ) უპირისპირდება, ორიენტირებულია სამიზნე ჯგუფების დარწმუნებაში, თითქოს პრო-რუსული საგარეო ორიენტაცია არსებულზე უკეთესია. ეს სტრატეგია შემდეგ ფაქტორებს უსვამს ხაზს: 1. უძლეველი რუსეთს უპირისპირებს სუსტ დასავლეთს, რომელმაც ვერ შეძლო საქართველოს დაცვა; 2. საერთო რელიგიას - მართლმადიდებელ ქრისტიანობას, როგორც გამაერთიანებელს და 3. საერთო ისტორიულ მეხსიერებას.[19]

ნოდიას აზრით, რუსეთის და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის თანამშრომლობა, რომელიც უფრო დეტალურად მე-3 თავში იქნება განხილული, რუსეთისთვის გავლენის მოხდენის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი საქმიანობა "რუსული სამყაროს" ფონდის (Фонд «Русский мир») მეშვეობით ხორციელდება, რომელიც პრეზიდენტ პუტინის ბრძანებით 2007 წელს დაარსდა. საქართველოში "რუსული სამყაროს" პარტნიორი ორგანიზაციები ძირითადად ორი ტიპის საქმიანობაში არიან ჩართულნი: კრემლის პოლიტიკური პროექტების ორგანიზებაში და საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების მხარდაჭერაში. პოლიტიკურ პროექტებს შორისაა "უკვდავი ლეგიონის" აღლუმები, რომლებიც უკვე წლებია კრემლის პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს. საერთო ისტორიულ მეხსიერებაზე აპელირების გზით, კრემლი მეორე მსოფლიო ომის გამარჯვების დღეს იყენებს, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 9 მაისს აღინიშნება და მას საკუთარი საგარეო გავლენის ბერკეტად აქცევს. ამ მიზნით ხდება წმ. გიორგის ბაფთის, როგორც სიმბოლოს გამოიყენება, და "უკვდავი ლეგიონის" თავდაპირველი იდეის პოლიტიზაცია.[20]

2019 საქართველოში ორგანიზებული უკვდავი ლეგიონის მარშის ორგანიზატორებს შორის იყვნენ, „ევრაზიის ინსტიტუტი", რომელიც დეტალურად 2.1 თავში იქნება აღწერილი, ახალი სოციალისტური მოძრაობა, „ისტორიული მემკვიდრეობა", რომელიც ფლობს ანტიდასავლურ გამოცემას „საქართველო და მსოფლიო",[21] „საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი" და „მრავალეროვანი საქართველოს" ანტიფაშისტური კოალიცია. ასევე არსებობს მტკიცებულებები, საიდანაც ჩანს, რომ ფონდ "რუსულ სამყაროსთან" თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციები კრემლის მხარდამჭერ სხვა აქტორებთანაც, მაგალითად „პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრთან" და ეთნო-ნაციონალისტურ „ქართულ იდეასთან" თანამშრომლობენ.

2. საგარეო გავლენის არასამთავრობო აქტივები

2.1. კრემლის არასამთავრობო აქტივები საქართველოში

მოსკოვის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მარიონეტული ჯგუფები კრემლის მრავალფეროვანი ინსტრუმენტარიუმის ნაწილია, რომელიც საქართველოში მისი მიზნების ხელშეწყობას ემსახურება. 2008 წლიდან საქართველოში რუსეთის სამთავრობო და კრემლთან დაკავშირებული ფონდების მხარდაჭერით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა. ეს რუსეთის განახლებული საგარეო პოლიტიკური ხედვის შესაბამისად მოხდა, რომელშიც "რბილი ძალა" საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში განუყოფელ როლს ასრულებს. ფურცელზე, საქართველოში კრემლის მომხრე ორგანიზაციების რაოდენობამ, შესაძლოა, რამდენიმე ათეულს გადააჭარბოს, თუმცა მათი უმეტესობა ერთი და იმავე პირთა მცირე ჯგუფის მიერაა დაფუძნებული.[22] ამ ორგანიზაციების უმეტესობა 2014 წლამდე შეიქმნა, სანამ საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერდა ხელს, რაც

19 თამარ კინწურაშვილი,, "ანტიდასავლური პროპაგანდა - 2018", MDF, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/119
20 Mariam Pataridze, "Russian World in Georgia", MDF, 2019, https://bit.ly/3oyVfx6
21 ვებ-გვერდი „საქართველო და მსოფლიო" ", http://geworld.ge/ge/
22 Oana Popescu & Rufin Zamfir "Propaganda made-to-measure: how our vulnerabilities facilitate Russian influence?" GRASS, 22 თებერვალი 2019, https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-22/359.pdf

ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სახით ევროკავშირის ღირსეულ ალტერნატივას შექმნიდა. კრემლის მომხრე ორგანიზაციების უმეტესობამ საკუთარი ან მასთან აფილირებული მედია პლატფორმები ჩამოაყალიბა, როგორიცაა, მაგალითად „საქართველო და მსოფლიო", ტელეკომპანია „პატრიოტი TV" და სხვ.[23]

კრემლის მხარდამჭერი ორგანიზაციების ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითია „ევრაზიული ინსტიტუტი", რომელიც 2009 წელს გულბაათ რცხილაძის[24] მიერ დაარსდა. მოგვიანებით, ინსტიტუტმა „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი" ჩამოაყალიბა, რომლის წევრებიც ხშირად მონაწილეობდნენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ინსტიტუტმა რუსული სახელმძღვანელოების არაერთი პროექტი წამოიწყო, მაგალითად, „9 მაისის ინიციატივა", რომელიც მეორე მსოფლიო ომის შესახებ "ობიექტური ფაქტების" გავრცელებას ისახავდა მიზნად. ინსტიტუტის ერთ-ერთი პარტნიორი „ლევ გუმილევის ცენტრი" იყო, რომელიც მოსკოვში 2011 წელს დაარსდა[25] და რომელსაც, ხშირად ვლადიმერ პუტინის მთავარ იდეოლოგად შერაცხული, ალექსანდრე დუგინი ხელმძღვანელობს. „ერეკლე მეორის საზოგადოება" კიდევ ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის დამფუძნებლებმა 2010 წლის დასაწყისში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, „ევრაზიული არჩევანი" დააფუძნეს - ორგანიზაცია, რომელმაც ისეთი პროექტები წამოიწყო, როგორიცაა „პატიოტი TV" და რუსული ენის კურსები.[26]

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის ფედერალური სააგენტო (რუსეთის ფედერალური სააგენტო "Rossotrudnichestvo") საქართველოში ანტიფაშისტური კოალიციის პროექტს უჭერს მხარს. პროექტმა კრემლის მომხრე სხვადასხვა ორგანიზაცია გააერთიანა, მათ შორის, „ევრაზიის ინსტიტუტი", „სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი" და „მამული, ენა და სარწმუნოება", რომელსაც ლადო სადღობელაშვილი ხელმძღვანელობს. რუსეთის კიდევ ერთმა სახელმწიფო პროექტმა – „რუსულმა სამყარომ", 40-მდე ქართული ორგანიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულების სია გამოაქვეყნა,[27] რომლებიც, მათი თქმით, საზღვარგარეთ რუსული ენისა და კულტურის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობენ. ორგანიზაციებს შორის რუსულმა სამყარომ არაერთი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიყვანა, სადაც რუსული ენის ფაკულტეტები ფუნქციონირებს. როგორც ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა განაცხადა, მათ არ აქვთ ინსტიტუციური პარტნიორობა, თუმცა მათ თანამშრომლებს ინდივიდუალურ დონეზე, შესაძლოა, ჰქონდეთ ურთიერთობა „რუსულ სამყაროსთან".[28]

„გორჩაკოვის ფონდმა", რომელიც „რუსული სამყაროს" მსგავს რუსულ სახელმწიფო სააგენტოებთან თანამშრომლობს[29], 2013 წელს „პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი დააფუძნა".[30] ცენტრს ყოფილი დეპუტატი (2008-2012) და მოგვიანებით პრო-რუსული პოლიტიკური პარტიის "თავისუფალი საქართველოს" წევრი, დიმიტრი ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. ცენტრი ქართველებს რუსული ენის უფასო კურსებს სთავაზობს, ატარებს საჯარო ლექციებს და აქტიურად მონაწილეობს „გორჩაკოვის ფონდის" ისეთ პროექტებში, როგორიცაა რუსულ-ქართული დიალოგი.[31] „პრიმაკოვის ცენტრი" ერთ-ერთია კრემლის მხარდამჭერი ორგანიზაციების იმ მცირე

23 იქვე, 20.
24 ნატა ძველიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, "რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე", IDFI, ივნისი 2015, https://idfi.ge/en/russian-influence-of-georgian-ngos-and-media
25 ლევ გუმილიოვის ცენტრის ვებ-გვერდი (2020 წლის 8 დეკემბრის მონაცემებით), http://af.gumilev-center.ru/en/about
26 ლაშა ტუღუში "რუსული რბილი და ხისტი ძალის საფრთხეები საქართველოსთვის", თბილისის ლიბერალური აკადემია, 2016 https://ei-lat.ge/wpcontent/ uploads/2020/09/politikis-dokumenti.pdf
27 "List of Organizations", "Organization Directory" მოძიებულია 2020 წლის 12 ნოემბერს, https://bit.ly/3lWWbcL
28 მარიამ პატარაძე „რუსული მსოფლიო საქართველოში" MDF, 2019, https://bit.ly/3oyVfx6
29 "Georgia Russian Center", Alexander Gorchakov Public Diplomacy Fund, https://gorchakovfund.ru/en/georgia/
30 პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის Facebook გვერდი https://www.facebook.com/rusgeocenter
31 პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის Facebook გვერდი, https://www.facebook.com/rusgeocenter

ჯგუფიდან, რომლებიც 2021 წელს ჯერ ისევ აქტიურია.

„უკვდავი პოლკი"[32] - მოძრაობა, რომელიც რუსეთში მეორე მსოფლიო ომის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მხარდაჭერის იდეოლოგიურ იარაღად წარმატებით ტრანსფორმირდა - პირველად საქართველოში 2017 წელს გამოჩნდა. ორგანიზატორების მიერ მისი ინსტიტუციონალიზაცია 2019 წელს მოხდა, როდესაც მოძრაობა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირად დაარეგისტრირეს. სარეგისტრაციო დოკუმენტის თანახმად,[33] მოძრაობის თავმჯდომარე რევაზ გოგიძეა, რომელიც წარსულში „მრავალეროვანი საქართველოს" ანტიფაშისტურ კოალიციას ხელმძღვანელობდა.[34] „უკვდავი პოლკი საქართველო"[35] 9 მაისის ყოველწლიურ მარშს რამდენიმე ქალაქში[36], მათ შორის თბილისშიც ატარებს.

ორგანიზაციების უმეტესობამ, მათ შორის, „ევრაზიის ინსტიტუტმა", „ევრაზიულმა არჩევანმა", „ერეკლე მეორის საზოგადოებამ" და სხვებმა, დე-ფაქტო შეაჩერეს თავიანთი საქმიანობა.[37] მაგალითად, 2017 წელს „ევრაზიის ინსტიტუტმა" საქმიანობის შეჩერების შესახებ განაცხადა, ხოლო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ გააკრიტიკა საქართველოში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების საქმიანობა და ეჭვქვეშ დააყენა "რუსული სამყაროს" ფონდის, „გორჩაკოვის სახალხო დიპლომატიის ფონდის", „ევგენი პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრისა" და „სპუტნიკ-საქართველოს" ეფექტურობა. ორგანიზაციული საქმიანობის შეწყვეტის მიუხედავად, სხვადასხვა პრო-რუსული ორგანიზაციების დამფუძნებლები და წარმომადგენლები სხვა საზოგადოებრივ სფეროებში, მათ შორის, მედიასა და პოლიტიკაში „გადაბარგდნენ". მაგალითად, როგორც გულბაათ რცხილაძემ „რადიო თავისუფლების" საქართველოს ოფისთან განაცხადა, იგი კრემლთან დაკავშირებული საინფორმაციო სააგენტოს „ნიუსფრონტის"[38] ერთ-ერთი რედაქტორია. ამის მსგავსად, ლადო სადღობელაშვილმა „ქართულ მარშში" გადაინაცვლა,[39] რომელიც თავდაპირველად საზოგადოებრივ მოძრაობად ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმირდა და 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა. ზოგიერთი მათგანი პრო-რუსულ პოლიტიკურ პარტიას, „პატრიოტთა ალიანსს" შეუერთდა, რომელსაც საგამოძიებო პლატფორმა „დოსიე ცენტრის" ანგარიშის თანახმად, 2020 წლის საპარლამენტო საარჩევნო კამპანიაში მხარს კრემლი უჭერდა.[40]

ვინაიდან ქართული საზოგადოება დიდწილად რეზისტენტული აღმოჩნდა კრემლთან ღიად დაკავშირებული ორგანიზაციების მიმართ და, შესაბამისად, ამგვარი ჯგუფების უმეტესობის დაფინანსება ნაკლებად ეფექტური გამოდგა, რუსეთმა საკუთარი აქცენტი საქართველოში ულტანაციონალისტურ მარიონეტული ჯგუფების მხარდაჭერაზე გადაიტანა. 2017 წლიდან მოყოლებული, საქართველოში მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების მოზღვავება შეინიშნებოდა და ბევრ მათგანს თავდაპირველად ინსტიტუციონალური ფორმა არ გააჩნდა. მაგალითად, „ქართულმა მარშმა", რომელიც, თავდაპირველად, სხვადასხვა რადიკალური ჯგუფებისა და პიროვნებების

32 გიორგი ლომსაძე, "საქართველოსში მეორე მსოფლიო ომის ხსენების დღე იდეოლოგიური ბრძოლის ველი ხდება", 2019 წლის მაისი, https://eurasianet.org/georgias-world-war-ii-commemoration-becomes-ideological-battlefield

33 საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ააიპ-ის სარეგისტრაციო დოკუმენტი, 2019 წლის 9 ოქტომბერი, https://bit.ly/3oyRN5B

34 ლაშა ტუღუში "რუსული რბილი და ხისტი ძალის საფრთხეები საქართველოსთვის", თბილისის ლიბერალური აკადემია, 2016, https://ei-lat.ge/wpcontent/uploads/2020/09/politikis-dokumenti.pdf

35 უკვდავი პოლკი საქართველოს Facebook გვერდი, https://bit.ly/3ox6aaD

36 Sky news "უკვდავი პოლკის წევრებმა ახალქალაქში მარში გამართეს" 2019 წლის მაისი, http://sknews.ge/ka/old/22535

37 ნატა ძველიშვილი, "პრორუსულიდან პროქართულ ნარატივამდე", 2018 წლის ივლისი, https://fpc.org.uk/from-a-pro-russian-to-a-progeorgian-narrative/

38 იაკობ ლაჩაშვილი, როგორ აგრძელებს NewFront მუშაობას" Factcheck Georgia, 2020 წლის მაისი, https://bit.ly/39QpP17

39 2018 წელს ლადო სადღობელაშვილმა "ქართული მარში" დატოვა და საკუთარი ორგანიზაცია პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავების ცენტრი დააფუძნა. ამასთან, იგი ორგანიზაციულზე მეტად, ძირითადად ინდივიდუალურ დონეზეა აქტიური.

40 Civil.ge, რუსული არასამთავრობო: კრემლი საქართველოს არჩევნებში ერევა და პატრიოტთა ალიანსს ეხმარება, 2020 წლის აგვისტო https://civil.ge/archives/363628

ჩინეთის აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მჭიდრო კავშირებს ამყარებენ ქართულ უნივერსიტეტებთან და არასამთავრობო სექტორებთან, როგორც წესი, სამხედრო და თავდაცვის კუთხით მაღალი რისკის კატეგორიებში შედიან, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას... ჩინეთის მეგობრობის ასოციაციები, როგორც წესი, გაერთიანებულ ფრონტთანაა დაკავშირებული და საზღვარგარეთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესების გაფართოებას ემსახურება.

არაფორმალურ გაერთიანებას წარმოადგენდა,[41] თავისი საქმიანობა 2017 წლის ზაფხულში, საპროტესტო აქციით დაიწყო, რომლის მიზანი „ქვეყნის არალეგალური იმიგრანტებისგან გაწმენდა" იყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების პირდაპირი ლობირების ნაცვლად ჯგუფმა აქცენტი პროქართული იმიჯის შექმნაზე გააკეთა. 2017 წლიდან „მარშმა" რამდენიმე აგრესიული, ჰომოფობიური დემონსტრაცია გამართა, სადაც, ხშირად ფიზიკურ ძალადობასაც ჰქონდა ადგილი. ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა (EFIS) "ქართული მარში" რუსული პროპაგანდის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ლობისტად დაასახელა[42] და აღნიშნა, რომ ქართული მარშის ლიდერებს კავშირები აქვთ რუსეთთან და მისი "გავლენის გავრცელებასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან".

ღიად პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები სულ უფრო ხშირად ცდილობდნენ, რომ რადიკალური ფრთიდან მეინსტრიმში გადაინაცვლონ და ამ მიმართულებით არც თუ ისე წარუმატებლები არიან. ამ პროცესში, საგანგაშო არა რადიკალური ჯგუფებისა და მათი მიმდევრების რაოდენობაა, არამედ ის ფაქტი რომ ხელისუფლება საკუთარი პასიური და გარკვეულწილად წამახალისებელი დამოკიდებულებით ამ ჯგუფებს ირიბად მხარს უჭერს. და გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჯგუფები არ არიან მარგინალიზებული ან ადეკვატურად დასჯილი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მხრიდან, მათი რაოდენობა მზრდადია. ამან გავლენა იქონია საკანონმდებლო ცვლილებებზეც, რომლებმაც ულტრანაციონალისტებისგან აიღეს მიმართულება და შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც კრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვას და ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს.[43] თავის მხრივ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებმა ასევე ვერ შეძლეს საქართველოში მავნე გავლენის მქონე რუსული აქტორების პროაქტიულად გამოვლენა და თავს იკავებენ იმ ჯგუფების ღიად დასახელებისგან, რომლებიც კრემლის ინტერესებზე მუშაობენ.

2.2. ჩინეთის გავლენა აკადემიურ და არასამთავრობო სექტორებში

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანდათან სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ჩინეთის და საქართველოში მისი მზარდი გავლენების მიმართ. ჩინეთის დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ხდება.

ჩინეთის აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მჭიდრო კავშირებს ამყარებენ ქართულ უნივერსიტეტებთან და არასამთავრობო სექტორთან, როგორც წესი, ავსტრალიური ვებ–გვერდის Unitracker–ის სიაში სამხედრო და თავდაცვის კუთხით მაღალი რისკის კატეგორიებში შედიან,[44] რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას. შესაძლებელია, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან სამოქალაქო საზოგადოების დონეზე თანამშრომლობა და ამ პროცესში მიმოცვლილი ინფორმაცია მოგვიანებით საკუთარი სადაზვერვო ინტერესებისთვის გამოიყენოს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა. ჩინეთის კვალი ყველაზე თვალსაჩინოდ აკადემიურ სფეროში შეინიშნება, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების უმრავლესობამ უკვე გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „საქართველო-ჩინეთის

41 მარიამ გოგიაშვილი, სალომე ცეცხლაძე, ქართული ნეონაციზმის ანატომია, 2018 წლის მაისი, https://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism

42 Civil.ge, „ესტონეთის დაზვერვის ანგარიში: რუსეთმა 2019-ში საქართველოზე ზეწოლა გააძლიერა" 2020 წლის 17 თებერვალი https://civil.ge/archives/338992

43 მაგალითად, გეი ქორწინების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფების უამრავი მოწოდება ამ საკითხის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, https://bit.ly/3n6CwsA

44 Unitracker, https://unitracker.aspi.org.au/

მეგობრობის ასოციაციასთან" (GCFA). ჩინეთის მეგობრობის ასოციაციები, როგორც წესი, „გაერთიანებულ ფრონტთანაა" დაკავშირებული და საზღვარგარეთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესების გაფართოებას ემსახურება. Synopsis-ის კვლევის თანახმად, ამგვარ მეგობრულ ასოციაციებს "უცხო ქვეყნებთან მეგობრობის ჩინეთის სახალხო ასოციაცია (CPAFFC,45 对外 友好 协会) ხელმძღვანელობს.[46] ეს სისტემა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ასოციაციების (общества дружбы) ანალოგიურია, თუმცა უფრო ფართოდ განვითარებულია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის ასოციაციები მისი გლობალური გავლენის აპარატის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს, რომელიც პარტიის და სახელმწიფო ინტერესების საზღვარგარეთ სისტემატურად გატარებისთვის „გაერთიანებული ფრონტის" (统一战线) ტაქტიკას იყენებს და ისეთი მიმზიდველი ტერმინებით აპელირებს, როგორიცაა "მშვიდობა", "მეგობრობა", "თანამშრომლობა" და "კულტურული გაცვლა". იმისათვის, რომ უკეთ გამოჩნდეს „საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის" მნიშვნელობა ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში, საკმარისია აღინიშნოს, რომ 2016 წელს მის პრეზიდენტად აირჩიეს CEFC China Energy Company Limited- ის აღმასრულებელი დირექტორი ჯიან ჯუნ ზანგი.[47] GCFA „საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული განვითარების ცენტრის" მიერ დაარსდა,[48] რომელსაც ძალიან საკამათო რეპუტაციის მქონე ქართველი ბიზნესმენი, პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობის ყოფილი ვიცე-პრემიერი და საქართველოს არაფორმალური ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი მოკავშირე, ივანე ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს.

აღსანიშნავია, რომ ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის ფარგლებში (the Belt and Road Initiative), ჩინეთის მთავრობა საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ჯანდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებში ქართველი მკვლევარების სხვადასხვა სამეცნიერო ინიციატივებს აფინანსებს. აღნიშნული პროექტები ჩინეთის „საბუნებისმეტყველო მეცნიერების ეროვნული ფონდის" და საქართველოს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" სიმპოზიუმის სამოქმედო გეგმის "მეცნიერება-ნიჭი-მომავლის" ნაწილია. სიმპოზიუმი სამომავლო აკადემიური დაწინაურებისთვის ქართული სამეცნიერო ჯგუფების შეფასებისა და შერჩევისთვის ჩამოყალიბდა.[49] როგორც „საქართველოს ინოვაციური HR ჰაბი" წერს თავის სტატიაში, ჩინეთი, რომელიც ლიდერია პროფესიული განათლების განვითარებაში, განსაკუთრებით მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, IT ტექნოლოგიებისა და ენერგეტიკის სფეროებში, ქართველ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან მათი უნარების ასამაღლებლად მუშაობს, რათა ისინი კონკურენტუნარიანები გახდნენ საერთაშორისო ბაზარზე.[50] გარდა ამისა, 2020 წლის იანვარში „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის" გახსნას პირველი ჩინურ-ქართული ლექსიკონის შექმნა მოჰყვა.[51] თავად ცენტრი ჩინური ენის პოპულარიზაციას და ქართველების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს. შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციების ეს ისტებლიშმენტი ჩინეთის ფართო მიზნებს ემსახურება, რაც სამოქალაქო საზოგადოებაში, ისევე, როგორც პროფესიულ და აკადემიურ სფეროებში ინფილტრაციით და მათ ინფორმაციულ სივრცეზე გავლენის მოხდენის საშუალებით ჩინეთის, როგორც საქართველოს მთავარ და საიმედო პარტნიორის ლობირებას გულისხმობს. ეს მაგალითები ასევე ნათლად წარმოაჩენს ჩინეთის ძალისხმევას, იფიქროს და იმოქმედოს ფართო კონტექსტში, როდესაც

45 Chinese People's Association for Friendship with Foreign Countries, https://www.cpaffc.org.cn/

46 Olga Lomová, Jichang Lulu, Martin Hála; "Bilateral dialogue with the PRC at both ends: Czech-Chinese "friendship" extends to social credit", Sinopsis, 2019 წლის 28 ივლისი, https://sinopsis.cz/en/friendship-and-social-credit/

47 Agenda.ge გავლენიანი ჩინელი ბიზნესმენი საქართველო-ჩინეთის მეგობრობის განმტკიცებას უწყობს ხელს 2016 წლის 18 ოქტომბერი, https://agenda.ge/en/news/2016/2559

48 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო „კომპანიის შესახებ", ბოლოს განახლება 2019 წლის 13 სექტემბერს https://www.companyinfo.ge/ka/corporations/648834

49 ჩინეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერების ეროვნული ფონდის ვებგვერდი: http://www.nsfc.gov.cn/english/site_1/index.html

50 Sputnik Georgia, "China will fund Georgian science research", 2017 წლის 24 აპრილი https://bit.ly/3bbcEbp

51 HR hub, "The Ministries of Education of Georgia and China will cooperate in the field of vocational education", 2018 წლის 9 თებერვალი https://bit.ly/3eh4tfJ

ეროვნულ დონეზე ინფორმაციულ სივრცეში საკუთარ გავლენებს აფართოებს, როგორც ადგილობრივი ბიზნესმენების, ისე პოლიტიკური ელიტის ჩართულობით.

3. ეკლესია, როგორც რუსული გავლენის ცალკეული ინსტრუმენტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე) ღიად პრორუსულ პოზიციებს არ აფიქსირებს, თუმცა საქართველოს საპატრიარქოში არიან მაღალი რანგის წარმომადგენლები, რომლებიც იზიარებენ პრორუსულ ხედვასა და ნარატივებს (ღირებულებებზე, დამოკიდებულებას ლიბერალური დასავლეთის მიმართ და ა.შ.) და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან (რმე) მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებენ. ის ფაქტი, რომ სმე-მ მხარი არ დაუჭირა დამოუკიდებელ [რმე-სგან] უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას და ამავე დროს კონსტანტინოპოლის ეკუმენური საპატრიარქოსგან იზოლირებას ახდენს, (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება განმარტებული) იწვევს საფუძვლიან ეჭვებს, რომ „საქართველოს საპატრიარქოს მოსკოვისგან შეზღუდული დამოუკიდებლობა აქვს."[52]

საქართველოს წმინდა სინოდის ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც უკრაინის ავტოკეფალიის არაღიარებას ხსნიან რუსეთის საპატრიარქოს მიერ აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარებას შეეხება; ამის მიუხედავად, რუსეთის საპატრიარქო პატრიარქ ილია II-ის სრული ტიტულატურით არ ახსენებს და "ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის" ტიტულს აკლებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საპატრიარქო არ ცნობს აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობას, ეს მხოლოდ ფორმალობაა, რადგან წლებია აფხაზეთის ეპარქიას რეალურად რუსეთის საპატრიარქო მართავს.[53] ხშირად, ქართული კვალის წაშლის მიზნით, აფხაზეთში მდებარე ეკლესიების თეთრად შეღებვა და დაზიანება ხდება. ამასთან, აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის შეშფოთება საფუძველს მოკლებულია, რადგან აფხაზეთის შემთხვევაში, სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია. ავტოკეფალიის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობას სახელმწიფოებრიობის ქონა წარმოადგენს. აფხაზეთის შემთხვევაში, ეკლესია არაღიარებულ ერთეულად რჩება.[54]

თეოლოგების აზრით, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით წმინდა სინოდის პოზიცია რუსეთის გავლენის შედეგს წარმოადგენს. როგორც ბექა მინდიაშვილმა აღნიშნა ექსპერტთან ინტერვიუს ფარგლებში, იმის მიუხედავად, რომ საქართველომ ისტორიულად იგივე გზა განვლო ავტოკეფალიამდე, სინოდის წევრთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას. როგორც თეოლოგმა გურამ ლურსმანაშვილმა აღნიშნა,[55] მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის საქართველოში ვიზიტები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების პროცესებს უკავშირდებოდა და ილარიონი იმედოვნებდა, რომ სმე რუსეთის პოზიციას გაიზიარებდა და მხარს დაუჭერდა.

2016 წლამდე, წმინდა სინოდის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

52 ინტერპრესნიუსი, "ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის ოფიციალური გახსნის ცერემონია გაიმართა", 2020 წლის 11 იანვარი https://bit.ly/3b9yc81

53 "Georgian Orthodox Church opts for Caution Regarding Ukrainian Autocephaly", The Jamestown Foundation, 2019 წლის 16 იანვარი https://bit.ly/3kG0jyP

54 "რუსეთის პატრიარქი ილია II-ს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად სიტყვიერადაც არ აღიარებს", მითების დეტექტორი, 2019 წლის 11 იანვარი, https://bit.ly/3fi7rz1

55 "4 მითი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შესახებ", მითების დეტექტორები, 2018 წლის 3 ოქტომბერი, http://mythdetector.ge/en/myth/four-myths-about-ukrainian-church-autocephaly-and-patriarchate-constantinople

პატრიარქი ილია II რეგულარულად სტუმრობდა რუსეთს. იგი ხვდებოდა, არა მხოლოდ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს, არამედ რუსეთის ყოფილ პრეზიდენტს, დიმიტრი მედვედევს, და ამჟამინდელ პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინსაც. ილია II რუსულ ოკუპაციას შეცდომას უწოდებს და აცხადებს, რომ ეს არც რუსეთის ბრალია და არც საქართველოსი.[56] საქართველოს პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო და რუსეთი წარსულში მოძმე ერები იყვნენ, ხოლო პუტინი ბრძენი ადამიანია, რომელიც „ნამდვილად გააუმჯობესებს სიტუაციას საქართველოში და გააერთიანებს მას."

ილია II-მ განათლება მოსკოვის სასულიერო სემინარიაში მიიღო და მოსკოვის სასულიერო აკადემია დაამთავრა, რომელიც რმე-ის უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენს.[57] ბექა მინდიაშვილი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საეკლესიო იერარქიაში პატრიარქის პროგრესი კგბ-ს ინტერესებზე იყო დამოკიდებული და ეს კავშირები არსად გამქრალა. მინდიაშვილის თქმით, წლების განმავლობაში საქართველოს ეკლესიის ქმედებები რუსეთთან თავსებადი იყო. საგულისხმოა, რომ მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი),[58] რომელსაც მანამდე პრორუსულ განწყობას არ გამოუხატავდა, ცოტა ხნის წინ მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც განაცხადა, რომ "ჩვენს ერთობას ვერავინ და ვერაფერი დაარღვევს".

როგორც ექსპერტთან ინტერვიუში გია ნოდიამ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს აღნიშნული გავლენა ყველა სასულიერო პირზე ვრცელდება, საპატრიარქოს ზოგიერთ მაღალი დონის წარმომადგენელს მათი განათლებისა და დამოკიდებულებიდან გამომდინარე აშკარად ძლიერი კავშირი გააჩნია რუსეთის ფედერაციასთან.

"ეკლესიის გზავნილები რუსეთთან ერთგვაროვნებას ავლენს, როდესაც საქმე ეხება დასავლეთის, როგორც უზნეობის, მორალური დეკადანსის წყაროდ დახატვას, ხოლო რუსეთის, როგორც მოძმე მართლმადიდებლურ ქვეყნად წარმოჩინებას, რომელიც ამ ღირებულებებს იცავს", - აღნიშნა გია ნოდიამ ინტერვიუში.

სმე აგრძელებს მჭიდრო ურთიერთობას რუსეთის საპატრიარქოსთან მაშინ, როდესაც თანდათან შორდება ეკუმენურ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. 1997 წელს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დატოვა ეკუმენური საბჭო, ასევე ევროპული ეკლესიების კონფერენცია (CEC). საქართველოს საპატრიარქომ ასევე უარი თქვა 2016 წელს კრეტაზე გამართულ მართლმადიდებლური ეკლესიების კრებაზე დასწრებაზე.[59] ბექა მინდიაშვილის განცხადებით, აღნიშნული რმე-ის თხოვნის საფუძველზე მოხდა. თეოლოგები ზურაბ ჯაში და პავლე გავრილიუკიც საპატრიარქოს გადაწყვეტილების მიღმა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიის გავლენას ხედავენ, რომელიც ძალიან მჭიდრო კავშირშია რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკასთან.[60]

ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ MDF- ის ყოველწლიური ანგარიში[61] აჩვენებს, თუ როგორ ხდება დასავლური ღირებულებების მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან შეუთავსებლობის აქცენტირება. მაგალითისთვის, ამ ნარატივას ლობირებენ მოსკოვში დაფუძნებული პოლიტოლოგები, რომელთაც კრემლთან ახლო კავშირები გააჩნიათ.[62] ერთი მხრივ, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობას შორის არსებული წინააღმდეგობა ამ ღირებულებებზე დაფუძნებულ დიქოტომიაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს:

56 "ლურსმანაშვილი: უკრაინის საკითხი არის ლუსტრაცია ყველა ავტოკეფალური ეკლესიისთვის", VOA, 2018 წლის 21 დეკემბერი https://www.amerikiskhma.com/a/ukrainian-new-autocephalous-church-russia-and-georgia-reactions/4710709.html

57 "ილია მეორე: პუტინი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ, ტაბულა, 2013 წლის 24 იანვარი http://www.tabula.ge/ge/story/63727-ilia-meore-putini-kvelafers-gaaketebs-imisatvis-rom-dzmebad-davrchet

58 "ილია მეორეს 85 წელი შეუსრულდა", 1tv, 2018 წლის 4 იანვარი https://1tv.ge/news/ilia-meores-85-weli-sheusrulda/

59 "მიტროპოლიტი ნიკოლოზი მოსკოვში იმყოფებოდა და "ერთობაზე" ისაუბრა"". Netgazeti, 2020 წლის 17 ნოემბერი https://netgazeti.ge/news/499133/

60 „უკანასკნელი მართლმადიდებლები დედამიწაზე ", Liberali, 2016 წლის 15 აგვისტო https://bit.ly/3sNQgun

61 იქვე.

62 ანტიდასავლური პროპაგანდა 2019, MDF, http://mdfgeorgia.ge/uploads/library/173/file/eng/AntiWest-Booklet-ENG.pdf

"კათოლიციზმს, პროტესტანტიზმს და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას შორის დაპირისპირების ისტორია ათასწლეულს ითვლის... ჩვენი ეკლესიის ღირებულებები შეუსაბამოა ცხოვრების დასავლურ სტილთან, რომლის გავრცელებას ისინი ასე დაჟინებით ცდილობენ. "

ანტი-კათოლიკურ განწყობას ხშირად „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წევრები ავლენენ. მათ რიგებში არიან რადიკალური შეხედულებების მქონე სასულიერო პირები, რომლებიც 2016 წელს საქართველოში პაპ ფრანცისკეს ვიზიტს აპროტესტებენ, ხოლო მათ ბანერებზე "პაპი ერეტიკოსია" და "ანტიქრისტე!" იკითხებოდა.[63] დეკანოზმა დავით ისაკაძემ, რომელიც ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და პაპის მგზნებარე მოწინააღმდეგეა, განაცხადა, რომ კათოლიციზმი ეკლესიის დოგმიდან გადახვევას და მწვალებლობას წარმოადგენს.[64]

ბექა მინდიაშვილის თქმით, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს" საპატრიარქოს მხარდაჭერა აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სმე-ის სასულიერო პირია, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი" ეკლესიის რადიკალურ პოზიციებსს ახმოვანებს. საპატრიარქო უარყოფს რაიმე კავშირს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან", თუმცა მისი ერთ–ერთი დამფუძნებლის, ავთანდილ უნგიაძის განცხადებით, მათ ორგანიზაციას პატრიარქ ილია II-ის მხარდაჭერა აქვს. ბექა მინდიაშვილი ინტერვიუში მიუთითებს, რომ საპატრიარქოს არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წინააღმდეგ, თუმცა ვერბალურად მათგან ჩამოცილებულია.

გარდა იმისა, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი" კათოლიციზმისა და რომის პაპის წინააღმდეგია, მას რუსეთთან აფილირებულ სხვა ექსტრემისტულ ჯგუფებთან, მათ შორის, „ქართულ მარშთან" კავშირის ისტორიაც გააჩნია. ამასთან. ადგილი ჰქონდა კავშირის მიერ სამოქალაქო აქტივისტებზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმებს. იგივე შეიძლება ითქვას ლევან ვასაძეზეც,[65] რომელიც ბიზნესმენი და საქართველოში „ოჯახების მსოფლიო კონგრესის" წარმომადგენელია. ვასაძე ხშირად ესწრება ღონისძიებებს პატრიარქ ილია II-თან და პატრიარქის მოსაყდრესთან შიო მუჯირთან ერთად, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია.

გიორგი რაზმაძე,[66] დავით ისაკაძე,[67,68] იოანე გამრეკელი,[69] სპირიდონ აბულაძე, ანტონ ბულუხია, დავით ქვლივიძე,[70] სერგი ჩეკურიშვილი,[71] და არჩილ ქიტუაშვილი[72] სმე-ის წარმომადგენელი ის სასულიერო პირები არიან, რომლებიც ქადაგებებში ან კრემლის მხარდამჭერ მედიასაშუალებებთან ინტერვიუებში ანტიდასავლურ და პრორუსული განცხადებებს აკეთებენ. ხსენებული რვა სასულიერო პირიდან 4 წმინდა სინოდის წევრია და მაღალი რანგის, მთავარეპისკოპოსის და მიტროპოლიტს პოზიციებს იკავებენ. ძირითადად, მათი ანტიდასავლური მესიჯები და დეზინფორმაციული ნარატივები შემდეგ მტკიცებებს მოიცავს: "ევროპა არის გარყვნილი და დაკარგა ღმერთი", "მართლმადიდებლური ეკლესიის ღირებულებები შეუთავსებელია დასავლურ მოდელთან", "ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობა გეი ქორწინებების ლეგალიზებაა" და ა.შ. რაც შეეხება პრორუსულ ნარატივებს, მათი განცხადებების თანახმად, "რუსეთი საქართველოს მართლმადიდებლურ ტაძრებს

63 ალექსანდრე ჭაჭია. მითების დეტექტორი, http://mythdetector.ge/en/profile/chachia-alexander
64 "Pope Francis Navigates Orthodox Georgia's Rocky Terrain", Andrew Higgins and Jim Yardley, New York Times, October 1, 2016, https://www.nytimes.com/2016/10/02/world/europe/pope-francis-georgia.html
65 სიძულვილის ენა 2019, MDF, https://bit.ly/3b7euKd
66 "საქართველოს პარალელური ნაციონალიზმები", GIP, 2019 წლის 1 ივლისი https://bit.ly/2UH6arJ
67 რაზმაძე გიორგი, მითების დეტექტორი, https://www.mythdetector.ge/en/profile/razmadze-giorgi
68 "2019 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე მიტინგის მონიტორინგის შედეგები ", დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2019 წლის 9 ივლისი, http://www.democracyresearch.org/geo/52
69 "მტკიცება, თითქოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი მიზნად ოჯახის ინსტიტუტის ნგრევას ითვალისწინებს, უსაფუძვლოა", მითების დეტექტორი, 2016 წლის 10 აგვისტო, https://bit.ly/3qfIO9Q
70 "რას ნიშნავს ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსად იოანეს გამწესება და რა ვიცით მასზე", ნეტგაზეთ, 2019 წლის 1 ნოემბერი, https://netgazeti.ge/news/402781/
71 ანტიდასავლური პროპაგანდა 2016 MDF, http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/eng/Antidasavluri-ENG-web_(2).pdf
72 "ნეკრესის მიტროპოლიტი სერგი (ზურაბ) ჩეკურიშვილი", iFact, 2020 წლის 31 აგვისტო https://bit.ly/3lRtGhl

აღადგენს", "ცარისტულმა რუსეთმა საქართველო 200 წლის განმავლობაში გააერთიანა" და "რუსეთს ხანგრძლივი და პოზიტიური ისტორია აკავშირებს საქართველოსთან". აღსანიშნავია, რომ მიტროპოლიტი ანტონი[73] ფიქრობს, რომ ახალი რეფერენდუმის ჩატარებით საქართველოს ევროატლანტიკური კურსი უნდა გადაიხედოს, ხოლო მთავარეპისკოპოსი სპირიდონის[74] განაცხადებით, "რუსეთი, ბელორუსია და უკრაინა ერთი სახელმწიფო გახდებიან და ჩვენ ამისთვის უნდა ვილოცოთ."

ექსპერტთან ინტერვიუში ბექა მინდიაშვილის მიერ გაკეთებული კომენტარების თანახმად, წმინდა სინოდის წევრების განათლება პირდაპირ დაკავშირებულია რუსეთთან და ეს ჯერ კიდევ 1988 წლიდან დაიწყო, როდესაც სმე-ში მხოლოდ რუსული მართლმადიდებლური ლიტერატურის გამოყენება იყო დაშვებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ბერძნული და ინგლისური ტექსტებიც ითარგმნა, თუმცა რაფაილ კარელინის[75] ლიტერატურა ჯერაც ყველაზე გავლენიანად რჩება, განსაკუთრებით, კონსერვატორულ/ფუნდამენტალისტურ ჯგუფებში. მაგალითისთვის, რაფაილ კარელინს ციტირებს ქართული ანტილიბერალური Facebook გვერდი zneoba.ge,[76,77] რომელიც აფილირებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ქართული იდეის" პრო-რუსულად განწყობილ თავმჯდომარესთან, ლევან ჩაჩუასთან და პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორთან, დიმიტრი ლორთქიფანიძესთან.

Ifact.ge,[78] რომელმაც სმე-ის რუსეთთან და ექსტრემისტულ ჯგუფებთან კავშირზე საგამოძიებო მიმოხილვა გამოაქვეყნა, ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საპატრიარქოს ზოგიერთი წევრი ღიად უჭერს მხარს კრემლის მომხრე ჯგუფებს, მათ მიტინგებზე მისვლით, განცხადებებით თუ მორალური სტიმულირებით. მაგალითად, მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა პრო-რუსულ პარტია „პატრიოტთა ალიანსს" ნება დართო, რომ პოლიტიკური შეკრება ბაგრატის ტაძრის ეზოში გაემართა. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის (EMC)[79] ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მარნეულში ნარიმ ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციასთან მიმართებაში აღნიშნა, რომ მიტროპოლიტ გიორგი ჯამდელიანსა და "პრიმაკოვის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის" დირექტორს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს შორის კავშირი და თანამშრომლობა ცალსახა იყო.

4. რადიკალური და ექსტრემისტული ჯგუფების მხარდაჭერა

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში რადიკალური და ექსტრემისტული ჯგუფებისმომრავლებაშეინიშნებოდა.2019წელსთვითგამოცხადებულინეონაცისტური ჯგუფის "ქართული (ეროვნული) ერთიანობის" ხელმძღვანელი უკანონოდ იარაღის შეძენა და შენახვისთვის გაასამართლეს.[80] ადგილი ჰქონდა საპროტესტო მიტინგებს ჯორჯ სოროსისა და ფონდ ღია საზოგადოების წინააღმდეგ,[81] რომლებიც 2020 წელსაც

73 "მამა არჩილი (ქიტუაშვილი): ანტიდასავლური განწყობა იმიტომ იზრდება, რომ დღეს დასავლეთი სიბილწესთან ასოცირდება, 2015 წლის 22 ივლისი, http://geworld.ge/ge/6917/

74 "ანტიდასავლური გზავნილები მიტროპოლიტ ანტონისგან", ნეტგაზეთი, 2020 წლის 25 მაისი, https://netgazeti.ge/news/455253/

75 "მეუფე სპირიდონი: ვილოცოთ, რომ რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი გაერთიანდეს", ტაბულა, 2015 წლის 11 მარტი, http://www.tabula.ge/ge/story/93628-meufe-spiridoni-vilocot-rom-ruseti-ukraina-da-belarusi-gaertiandes

76 არქიმანდრიტი, სომხური ეკლესიის სასულიერო პირი, სასულიერო მწერალი, რამდენიმე რუსულენოვანი წიგნისა და რელიგიური და მორალური ხასიათის სტატიების ავტორი. ზოგიერთი მათგანი თარგმნილია ქართულ, რუმინულ და სხვა ენებზე.

77 ZNEOBA.GE, Facebook, 2020 წლის 13 ნოემბერი, https://www.facebook.com/zneoba.ge.new/posts/192008145829308

78 ZNEOBA.GE, Facebook, 2020 წლის 3 ნოემბერი, https://www.facebook.com/zneoba.ge.new/posts/188870436143079

79 "პატრიარქის ტრანსფორმაცია", iFact, 2020 წლის 12 ნოემბერი, https://www.ifact.ge/patriarqisferistsvaleba/

80 თამთა მიქელაძე, რადიო მარნეული, 2020 წლის 17 ივლისი, https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/32479

81 ქართველ ნეონაცისტს იარაღის შენახვისთვის სამწლინახევრიანი პატიმრობა მიუსაჯეს, DFWatch, 2019 წლის 25 მაისი https://bit.ly/35UKUVQ

გაგრძელდა,82 ასევე განხორციელდა ძალადობრივი თავდასხმა ლგბტ ჯგუფების წინააღმდეგ, ხოლო 2016 წლის დასაწყისში ნიღბიანი ახალგაზრდები თავს დაესხნენ და დაანგრიეს თურქების საკუთრებაში არსებული ბიზნესები,83 რასაც 2017 წელს მიგრანტების საწინააღმდეგო აქცია მოჰყვა.84 ამან გზა გაუხსნა „ქართული მარშის" მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომლიც ნაციონალისტური ხასიათის რუსული მარშის მოძრაობასთან ასოცირდება.85

„ქართული მარში", „ქართული იდეა", ლევან ვასაძე, რომელიც კონსერვატიულ „ოჯახთა მსოფლიო კონგრესთანაა" (WCF)86 აფილირებული და მჭიდრო კავშირი აქვს კრემლთან და ეკლესიასთან, „პატრიოტთა ალიანსი" საკუთარი თურქოფობიური და ისლამოფობიური რიტორიკით და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი", რომელიც სასულიერო პირების რადიკალურ პოზიციებს აჟღერებს, იმ სუბიექტებს წარმოადგენენ, რომლებიც ექსპერტებმა რადიკალურ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაიყვანეს, გამოდინარე იქიდან, რომ ისინი ძალადობისკენ აქეზებენ სხვებს და ცალკეულ შემთხვევებში თავდაც ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს. როგორც ინტერვიუში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გია ნოდიამ აღნიშნა, ამ აქტორების გზავნილები ძალიან წააგავს რუსულ პროპაგანდისტულ ნარატივებს.

WCF-მა,87 ქრისტიანულმა ევანგელურმა ორგანიზაციამ, რომელიც ლგბტ საზოგადოების მიმართ სიძულვილს აღვივებს და, "ბუნებრივი ოჯახის" დაცვის საბაბით, მიზნად მსოფლიოში ლგბტ უფლებების გავრცელების შეჩერებას ისახავს,88 2016 წელს თბილისში საკუთარი ყოველწლიური ღონისძიება ჩაატარა.

"ევრაზიანისტული" მოძრაობის დამფუძნებელს, ულტრანაციონალისტ რუს ფილოსოფოსს, ალექსანდრე დუგინს ასევე აქვს კავშირები WCF-თან89, ისევე, როგორც რუს ოლიგარქს, კონსტანტინე მალოფეევს, რომელმაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია დააფინანსა. ამის გამო, მისი სახელი აშშ-ის და ევროკავშირის სანქციების სიაში მოექცა. Shaltai Boltai-ის მასალების თანახმად90 მალოფეევი, ასევე, ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მეშვეობით, ევროპაში რუსეთის გავლენის გავრცელების პოლიტიკის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ თავად ლევან ვასაძე არ უარყოფს დუგინთან მისი მეგობრობის ფაქტს.91 მას ასევე მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მოსკოვში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებსაც ესწრებოდა.92

2019 წლის 16 ივნისს ლევან ვასაძემ "სახალხო ლეგიონის" ჩამოყალიბება დააანონსა, რომელსაც დაგეგმილი „თბილისი ფრაიდის" (Tbilisi Pride) ღონისძიების განმავლობაში ქალაქში პატრულირება უნდა განეხორციელებინა. მისი თქმით, მოხალისეები უმცირესობის წარმომადგენლებს ქამრების გამოყენებით ხელებს შეუკრავდნენ და ტერიტორიიდან გაიყვანდნენ.93 ვასაძე იყო, ასევე, იმ ძალადობრივი საპროტესტო

82 ულტრანაციონალისტები სოროსის ფონდის წინააღმდეგ მიწის საკუთრების კანონში ცვლილებების წინააღმდეგ გამოდიან Civil.ge, 2017 წლის 13 სექტემბერი https://civil.ge/archives/218294

83 ""ქართული მარში" ფონდ ღია საზოგადოების წინააღმდეგ აქციას აწყობს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2020 წლის 30 ივლისი https://1tv.ge/en/news/georgian-marchholds-a-rally-against-open-society-foundation/

84 ე. ბადასიანი, ქართველი ნაციონალისტები ჩრდილიდან გამოდიან, JAM News, 2016, https://bit.ly/3qfJpbA

85 FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი "ქართველთა მარშის" წინ, MDF, 2017, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/71

86 იქვე.

87 მითების დეტექტორი, „ლევან ვასაძე", http://www.mythdetector.ge/en/profile/vasadze-levan

88 მითების დეტექტორი, ოჯახთა მსოფლიო კონგრესის რუსული კავშირები, 2016 წლის 28 მაისი", https://bit.ly/37TOgrZ

89 SPLC Center "როგორ ემსახურება ოჯახების მსოფლიო კონგრესი რუსეთის მართლმადიდებლურ პოლიტიკურ ინტერესებს", , 16 May 2018 წლის 16 მაისი https://bit.ly/3oJIYWA

90 მითების დეტექტორი, ოჯახთა მსოფლიო კონგრესის რუსული კავშირები, 2016 წლის 28 მაისი", https://bit.ly/375ADGS.

91 იქვე.

92 On.ge, 2020 წლის 19 ივნისი "ლევან ვასაძის მტკიცებით, ალექსანდრ დუგინს საქართველოზე აზრი შეაცვლევინა", https://bit.ly/342JKpT

93 "არქიეპისკოპოსი ბოგოლეპი კონფერენციას წარუძღვა", 2020 წლის 22 იანვარი https://bit.ly/34632KX

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც 2019 წლის ნოემბერში ფილმის "და ჩვენ ვიცეკვეთ" ქართული პრემიერის პარალელურად მიმდინარეობდა.

რუსეთთან კავშირები და მისი გავლენის მექანიზმები აშკარად იკვეთება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ანტილიბერალური ჯგუფის, „ქართული მარშის" შემთხვევაში, რომელმაც პირველად მონაწილეობდა არჩევნებში 2020 წლის ოქტომბერში, თუმცა ვერ მოახერხა ამომრჩეველთა მხარდაჭერის მობილიზება საკუთარი ანტილიბერალური გეგმებისთვის, რომელიც ლიბერალური კანონმდებლობის გადახედვას და მკრეხელობის შესახებ კანონის მიღებას გულისხმობდა.[94] „ქართული მარშის" განსაკუთრებული როლი, როგორც "ექსტრემისტული მოძრაობების ქოლგა ორგანიზაცია, რომლის მიზანია წინააღმდეგობა გაუწიონ დასავლეთის მიერ ქართული საზოგადოებისთვის თავსმოხვეულ ღირებულებებს, რაც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის ქართველი ხალხისა და საზოგადოების არსებობას", ესტონეთის სადაზვერვო ანგარიშშიც[95] ხაზგასმით აღინიშნა.

„ქართული მარშის" პირველი გამოჩენა სცენაზე 2017 წელს იმიგრანტების საწინააღმდეგო დიდ საპროტესტო აქციას უკავშირდება, როდესაც მოძრაობამ ხალხის მობილიზაცია ულტრა-ნაციონალისტური Facebook გვერდების და ჯგუფების მეშვეობის მოახდინა.[96] კონკრეტულ სამიზნეს ირანელი, არაბი, აფრიკელი და აზიელი იმიგრანტები წარმოადგენდნენ, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. პირველ ნაბიჯებს, "მოქალაქეთა პატრულირების" შექმნის ახალი ინიციატივა მოჰყვა, რაც ქვეყანაში უცხოელი მიგრანტების ქმედებების გასაკონტროლებლად პოლიციის ალტერნატიული დანაყოფების შექმნას გულისხმობდა.[97] გარდა ამისა, თბილისში 2018 წლის მაისის საპროტესტო აქციების დროს, ქართულმა მარშმა ე.წ. "ეროვნული ძალების თანხმობის" კონტრ-აქცია ჩაატარა,[98] რომელიც ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ ჯგუფებს, მათ შორის, „ქართულ იდეას" და კრემლის გორჩაკოვის ფონდთან აფილირებულ, დიმიტრი ლორთქიფანიძეს აერთიანებდა.

ბექა მინდიაშვილი თვლის, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი", რომელიც სასულიერო პირების რადიკალურ ორგანიზაციას წარმოადგენს, მათი საქმიანობის გამო, ექსტრემისტულ ჯგუფებში უნდა განიხილებოდეს. ამის მაგალითებია, ძალადობა 2008 წელს,[99] როდესაც ისინი თავს დაესხნენ ჰელოუინის ღონისძიების მონაწილეებს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ზოგიერთ მათგანს, ასევე, მათი დესტრუქციული ქმედებები საქართველოში მუსლიმანის თემების[100] და მედიის წინააღმდეგ.[101]

ამ ჯგუფების იდეოლოგიურ მხარდაჭერას ტრადიციული (TV ობიექტივი,[102] გაზეთი ასავალ-დასავალი,[103] Geworld.ge[104]) და სოციალური (Alt-Info და მასთან დაკავშირებული Facebook გვერდები[105]) მედია უზრუნველყოფს. ეს უკანასკნელი (Alt-Info), Facebook-ის

94 RFE/RL," ლევან ვასაძე: სახალხო რევოლუციის გარეშე ქვეყანაში ვერაფერი დალაგდება", 2019 წლის 16 ნოემბერი https://bit.ly/3gHgkmb
95 წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020, თამარ კინწურაშვილი, MDF, 2020, https://bit.ly/2LtVBXF
96 Estonian Foreign Intelligence Service, 2020, International Security and Estonia, https://www.valisluureamet.ee/pdf/raport-2020-en.pdf
97 FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი "ქართველთა მარშის" წინ, MDF, 2017, http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/71
98 ქართველი ულტრანაციონალისტების ეროვნულ პატრულს აყალიბებენ, Jam News, 2018 წლის 11 თებერვალი, https://bit.ly/381wG64
99 მარიამ გოგიაშვილი, სალომე ცეცხლაძე, „ქართული ნეო-ნაციზმის ანატომია", 2018 წლის 18 მაისი, https://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism
100 "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი", ნეტგაზეთი, 2011 წლის 8 აგვისტო, https://netgazeti.ge/life/5972/
101 ომბუდსმენის ანგარიშში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" მიერ შეუწყნარებლობის გამოვლინებაზეა საუბარი, humanrigt.ge, April 8, 2010 წლის 8 აპრილი, http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=8173&lang=en
102 "კავკასიაში" მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებულ შვიდ პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, Civil.ge, 2010 წლის 10 მაისი, https://civil.ge/archives/120162
103 TV ობიექტივის პროფილი, წყარო: მითების დეტექტორი, https://www.mythdetector.ge/en/profile/obieqtivi
104 ასავალ-დასავალის პროფილი, წყარო: მითების დეტექტორი, https://www.mythdetector.ge/en/profile/asaval-dasavali
105 Geworld.ge-ის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი, https://www.mythdetector.ge/en/profile/geworldge

მიერ კოორდინირებული არაავთენტური საქმიანობის გამო პლატფორმიდან წაიშალა.[106]

ექსპერტების აზრით, ექსტრემისტულ და რადიკალურ ჯგუფებს, როგორც ფინანსური, ისე იდეოლოგიური მოტივაცია გააჩნიათ. არსებობს მოსაზრება, რომ "ანტილიბერალური ნეიტივისტური (ALN) ჯგუფების გავლენა საკმარისად დიდი არ არის, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პოლიტიკისადმი საქართველოს ერთგულება ეჭვქვეშ დააყენოს",[107] თუმცა მობილიზაციისთვის ჯერ კიდევ არსებობს ღია პოლიტიკური შესაძლებლობები."[108]

5. ეთნიკურ უმცირესობები გარე აქტორების სამიზნეში

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეები შეადგენენ. ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ, თუმცა ეთნიკური უმცირესობების უდიდესი კონცენტრაცია სამხრეთის ორი რეგიონში - ქვემო ქართლში (ქართველი აზერბაიჯანელები) და სამცხე – ჯავახეთშია (ქართველი სომხები).

ქვემო ქართლის რეგიონში 425,000-იანი მოსახლეობიდან, 42%-ს აზერბაიჯანელები შეადგენენ. ამასთან, დასახლებების უმეტესობა სრულად და უმეტესწილად აზერბაიჯანულია. სომხები სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რეგიონის 160,000-იანი მოსახლეობის დაახლოებით 50%-ს შეადგენენ, რომელთა უმეტესობაც ძირითადად მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ცხოვრობენ, სადაც თემები ეთნიკურად ერთგვაროვანია. ქართული ენის უცოდინრობა, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის,[109] საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს რომ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ყველაზე გავრცელებული არამშობლიური ენები რუსული და თურქულია[110] (თურქულ ენაზე ეთნიკური აზერბაიჯანელები საუბრობენ). ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს კიდევ უფრო აშორებთ ქართული საზოგადოებისგან[111], რომელთა უმრავლესობაც ქართველობის ცნებას აღიქვამს არა როგორც სამოქალაქო იდენტობას, არამედ აიგივებს მას რელიგიას, ენასა და ეთნიკურ ;კატეგორიასთან.

კიდევ ერთ მწვავე პრობლემას პოლიტიკური მონაწილეობა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე მოქმედი სახელმწიფო პროგრამა, ისინი არასაკმარისია პრობლემების მოსაგვარებლად. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევის შედეგები (GIP)[112] მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ ნომინალურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები წარმოდგენილნი არიან მუნიციპალურ დონეზე, თუმცა მათი პოლიტიკური საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

106 კოორდინირებული ფარული ოპერაცია Facebook-ზე, ISFED, 2020 წლის 3 აგვისტო, https://isfed.ge/eng/sotsialuri-mediis-monitoringi/alt-infos-koordinirebuli-faruli-operatsia-Facebook-ze

107 2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქმედებების ანგარიში, Facebook, 2020 წლის 5 ნოემბერი, https://about.fb.com/news/2020/11/october-2020-cib-report/

108 ანტი-ლიბერალური ნატივისტური გამოწვევა საქართველოში: რამდენად დიდია და რა შეიძლება გაკეთდეს მის წინააღმდეგ? გია ნოდია, CIPDD, 2020 წლის სექტემბერი, http://www.cipdd.org/upload/files/antiliberaluri-eng.pdf

109 „პოლიტიკური შესაძლებლობები რადიკალური მემარჯვენე ჯგუფებისთვის საქართველოში", თამთა გელაშვილი, GIP, http://gip.ge/wp-content/uploads/2019/05/Policy-brief-20-Tamta-Gelashvili.pdf

110 National Democratic Institute, "Public Attitudes in Georgia, December 2018 Survey", 2018 წლის 20 დეკემბერი, https://bit.ly/2K-11kU2

111 ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, „საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოში, 2018 წლის მარტი", მარტი, 2018 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39TyXSA

112 Sandra Veloy Mateu, "The Armenian Minority in the Samtskhe-Javakheti Region of Georgia", GRASS, 23 ივლისი, 2016, ხემისაწვდომია: https://bit.ly/3n0pyfM

არ სცილდება ადგილობრივ დონეს. რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ეთნიკურ უმცირესობებს არ აქვთ სათანადო პოლიტიკური ინტეგრაცია, და სახელმწიფო ენის კომპეტენციის ნაკლებობის გამო ისინი გაცილებით იშვიათად საქმდებიან საჯარო სექტორში.

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის ფაქტი, რომ საქართველოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების ენებზე ან თუნდაც რუსულ ენაზე მაუწყებელი ეროვნული ტელევიზიები. სახელმწიფო ენის არცოდნა ეთნიკურ უმცირესობებში უცხო ქვეყნების ტელევიზიების უფრო აქტიურ მოხმარებას იწვევს, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.[113] იქიდან გამომდინარე რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უმეტესობა რუსულად საუბრობს, არაქართული ტელევიზიების ყურებადობის რეიტინგის ტოპ 4 (ოთხ) არხს "ენ-ტე-ვე", რუსეთის პირველი არხი (ORT), რუსეთი 1 (Russia 1) და „ერ-ტე-ერ" (RTR) წარმოადგენს. მთლიანობაში, ყველაზე ყურებადი არაქართული ტელევიზიების რეიტინგის ტოპ 19 არხში 11 რუსული არხია. ექსპერტები მიიჩნევენ რომ უცხოურ ინფორმაციაზე დამოკიდებულება შესაძლოა პოლიტიკურ გავლენებშიც გადაიზარდოს, რადგან მსგავსი დამოკიდებულება კარგ ნიადაგს ქმნის რუსული დეზინფორმაციების გასავრცლებლად.[114] შესაბამისად, ექსპერტულ საზოგადოებებში, არსებობს ფართო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მზარდ მავნე საინფორმაციო კამპანიებთან გასამკლავებლად.

NATO-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება რუსული დეზინფორმაციის და პროპაგანდის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქართველოში. იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკური უმცირესობები ინფორმაციას ძირითადად რუსული წყაროებიდან იღებენ და უფრო მოწყვლადები არიან რუსული დეზინფორმაციის მიმართ, კრემლის მართული დეზინფორმაციული მანქანა ეთნიკურ უმცირესობებს სპეციალურად მათზე მორგებული ნარატივებით იღებს სამიზნეში. როგორც ჩანს რუსულ დეზინფორმაციას ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებებიც აქვს - ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2019 წლის აპრილის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, იმ ადამიანების 37% ვინც ინფორმაციას ძირითადად რუსეთის „პირველი არხისა" და „ერ-ტე-ერ"-სგან იღებს, ფიქრობს, რომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ქონა ევრო-ატლანტიკური კურსის მიტოვების სანაცვლოდ სასარგებლო იქნებოდა საქართველოსთვის.[115]

2019 წლის ივლისში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ევროკავშირში გაწევრიანების საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული მიზნის მხარდაჭერა 57%-ს შეადგენდა, რაც 21% ნაკლებია ეროვნულ საშუალო მაჩვენებელზე.[116] კიდევ უფრო საგანგაშოა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დამოკიდებულება NATO-ს მიმართ - ეროვნული მასშტაბით NATO-ს მხარდაჭერა 71%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მხოლოდ 36% უჭერდა მხარს NATO-ში გაწევრიანებას. ამას გარდა, უმცირესობებით დასახლებული რეგიონების 58% თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო ნეგატიური მოვლენა (14%-ით მეტი ვიდრე ეროვნული საშუალო მაჩვენებელი), ხოლო 21% მიიჩნევდა ამას დადებით (28%-ით ნაკლები ვიდრე ეროვნული საშუალო). როგორც დროთა განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულება NATO-ს მიმართ განსაკუთრებით არამდგრადია, რაც მიუთითებს იმაზე რომ მათი შეხედულებების მანიპულაცია შედარებით ადვილად ხდება საგარეო აქტორების მიერ: 2018 წლის მარტში 26% უჭერდა

113 სალომე კანდელაკი, "Integration of Ethnic Minorities in Georgia: Barriers to Political Participation", GIP, აგვისტო, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36VZkWb

114 NDI-ს „2019 წლის აპრილის საზოგადოებრივი აზრის კვლევა", აპრილი, 2019, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3qF33ix

115 სალომე გორგოძე, „უალტერნატივო საინფორმაციო არხი - რას უყურებენ ეთნიკური უმცირესობები?", ლიბერალი, 10 ივნისი, 2015, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vyrYXv

116 Ibid, 115.

მხარს NATO-ში გაწევრიანებას,[117] 2018 წლის ივნისში 49%[118], ხოლო 2019 წლის ივლისში - 36%.[119]

2019 წლის აპრილში, NDI-მ NATO-სადა ევროკავშირისადმი მხარდაჭერა ცალ-ცალკე გაზომა ეთნიკური აზერბაიჯანელებითა და ეთნიკური სომხებით დასახლებულ ადგილებში, რამაც საგრძნობი განსხვავებები აჩვენა.[120] ეთნიკური სომხებით დასახლებულ ადგილებში ევროკავშირში გაწევრიანებას მოსახლეობის 68% უჭერდა მხარს, ხოლო 17% ეწინააღმდეგებოდა. მეორე მხრივ, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებში, ევროკავშირს 54% უჭერდა მხარს, ხოლო 14% ეწინააღმდეგებოდა. საპირისპირო სურათი იყო NATO-ს შემთხვევაში. ეთნიკურ აზერბაიჯანელებში NATO-ს მხარდაჭერა 39% იყო, ეთნიკურ სომხებში კი 28%; ეთნიკურ აზერბაიჯანელებში მხოლოდ 19% ეწინააღმდეგებოდა NATO-ში გაწევრიანებას, ხოლო სომხებში ეს მაჩვენებელი 48%-ს აღწევდა. საბჭოთა კავშირის დაშლას დადებით მოვლენად სომხების მხოლოდ 15% მიიჩნევდა, 65% კი ამას ნეგატიურ მოვლენად თვლიდა, მაშინ როდესაც, ეთნიკური აზერბაიჯანელების 25% აფასებდა საბჭოთა კავშირის დანგრევას დადებით მოვლენად, ხოლო 52% საპირისპირო აზრზე იყო.

როგორც კვლევები აჩვენებს ეთნიკური უმცირესობები საქართველოში უფრო ნაკლებად უჭერენ მხარს NATO-სა და ევროკავშირს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ასევე, შესამჩნევია, რომ ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერა უფრო მაღალია ვიდრე NATO-ს მიმართ. ეთნიკურის სომხებისა და ეთნიკური აზერბაიჯანელების ცალ-ცალკე ჩატარებული კვლევები კი აჩვენებს, რომ ეთნიკური სომხები უფრო მეტად უჭერენ მხარს ევროკავშირს და ნაკლებად NATO-ს ვიდრე ეთნიკური აზერბაიჯანელები. ეს შედეგები, შესაძლოა დიდწილად სწორედ რუსული პროპაგანდით იყოს განპირობებული, რომელიც სამიზნეში იღებს NATO-ს და ავრცელებს ყალბ გზავნილებს, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველო გახდება ალიანსის წევრი, თურქული სამხედრო ნაწილები განთავსდება სამცხე-ჯავახეთში. 2019 წლის აპრილში, NDI-მ გაზომა ამ გზავნილის ზეგავლენა, სადაც გამოჩნდა რომ ეთნიკური სომხების 20%-ს სჯეროდა მისი სისწორის (ეროვნული საშუალო 11%), 46% თვლიდა რომ ეს იყო ყალბი ამბავი, ხოლო 33%-ს არ ჰქონდა პასუხი ან არ იცოდა. ეთნიკური აზერბაიჯანელების შემთხვევაში 73% აცხადებდა რომ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ, 9% მიიჩნევდა ამ ინფორმაციას სიმართლედ, ხოლო 16% თვლიდა რომ ეს იყო ყალბი ამბავი. ეს კონკრეტული შემთხვევაც აჩვენებს, რომ რუსეთი ეთნიკური უმცირესობების ყალბი გზავნილებით მიკრო-ტარგეტირებას ახორციელებს. საინტერესოა, რომ ეთნიკურ სომხების 27%-ს (ყველაზე მაღალ მაჩვენებელი ყველა ქვეჯგუფებში) სჯეროდა რომ ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს ავალდებულებს მიიღოს სირიელი მიგრანტები, მაშინ როდესაც ეთნიკური აზერბაიჯანელების მხოლოდ 10% ფიქრობდა მსგავსად, ხოლო ეროვნული საშუალო 18% იყო.

რუსეთი ფოკუსირებულია, რომ გამოიყენოს დეზინფორმაციის მიმართ ეთნიკურ უმცირესობებში არსებული მოწყვლადობა და წაახალისოს ინტერეთნიკური დაპირისპირებები საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ანგარიშების მიხედვით (იხილეთ თავი 7), უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები იჩენენ განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს კონკრეტული რეგიონების მიმართ, რადგანაც მათი მულტიეთნიკურობიდან გამომდინარე, არსებობს ეთნიკური შუღლის გაღვივებისა და სეპარატიზმის რისკები. სუს-ის ანგარიშში ვკითხულობთ რომ "უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტივობების განხორციელებისას მიზნად ისახავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას".[121] კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა რესპოდენტის მხრიდან (რომლებმაც ანონიმურად დარჩენა ისურვეს), მოხდა იმის აღნიშვნაც, რომ ქართულმა მხარემ ასევე სხვა რეგიონული სახელმწიფოების

117 NDI-ს „2019 წლის ივლისის საზოგადოებრივი აზრის კვლევა", ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39Uy9gj
118 NDI-ს „2018 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევა", მარტი, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lUR5Od
119 NDI-ს „2018 წლის ივნისის საზოგადოებრივი აზრის კვლევა", ივნისი, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JZZvqp
120 NDI-ს „2019 წლის ივლისის საზოგადოებრივი აზრის კვლევა", ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gsJ81D
121 NDI-ს „2019 წლის აპრილისს საზოგადოებრივი აზრის კვლევა", აპრილი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mZQyfb

იდენტიფიცირებაც მოახდინა, რომლებიც საქართველოში ეთნიკური დაპირისპირების მათი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობდნენ.

ყარაბაღისრეგიონშიგანახლებულმაკონფლიქტმაასევემნიშვნელოვანიუსაფრთხოების გამოწვევებიშეუქმნასაქართველოს,რადგანაცარსებობდაკონფლიქტისსაქართველოში გადმოტანის საშიშროება. კონფლიქტი რომ უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო, მას ასევე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონოდა საქართველოს ეკონომიკაზე და ჰუმანიტარული კრიზისიც კი გამოეწვია (მაგალითად მიგრანტების მასიური შემოსვლის გამო). ყარაბაღის კონფლიქტიდან მომდინარე საფრთხეს კიდევ უფრო ზრდიდა ის გარემოება, რომ ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები გეოგრაფიულად ახლო არეალში ცხოვრობენ საქართველოში, და ზოგიერთ შემთხვევაში შერეული დასახლებებიც კი გვხვდება. დეზინფორმაციული კამპანიების საშუალებით იყო ამ კონფლიქტის ეთნიკური დაპირისპირების გასაღვივებლად და დაპირისპირების გამოსაწვევად გამოყენების მცდელობა.[122] მაგალითად ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია რომ აზერბაიჯანში სირიელი მებრძოლების გადაყვანა და იარაღით მომარაგება საქართველოს ტერიტორიების გავლით ხდებოდა. ეს გზავნილები, ასევე მოიცავდა მოწოდებებს ეთნიკური სომხებისთვის, რომ გადაეკეტათ საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოს სასაზღვრო პუნქტები. შედეგად, 2020 წლის 29 სექტემბერს, ეთნიკურმა სომხებმა თურქეთისა და საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს და სატრანსპორტო საშუალებებს გავლის საშუალებას არ აძლევდნენ. დემონსტრანტები აცხადებდნენ, რომ მათ Facebook-ზე იხილეს ინფორმაცია, თითქოს საქართველომ გახსნა გზა აზერბაიჯანის მიმართულებით, ხოლო სომხებს არ აძლევდა საშუალებას გაეგზავნათ დახმარება ყარაბაღში სომეხი ჯარისკაცებისთვის. სხვები აცხადებდნენ, რომ თურქეთიდან აზერბაიჯანში საქართველოს გავლით ხდებოდა იარაღის ტრანსპორტირება და შესაბამისად ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა გამართლებული იყო. იმ დეზინფორმაციული კამპანიაში, რომელმაც მსგავსი მავნე ზეგავლენა გამოიწვია, ჩართული იყო სხვადასხვა წყარო, მათ შორის რუსული წყაროები, როგორებიცაა „ერ-ტე"-ს (Russia Today) ჟურნალისტები. მოგვიანებით, რუსული პროპაგანდის კიდევ ერთა წყარომ, „ევრაზია დეილმა" (Eurasia Daily), ქართველ პრორუს გავლენის აგენტზე დაყრდნობით გაავრცელა ყალბი ინფორმაცია, რომ საქართველო სომხეთის მიმართულებით ჰუმანიტარული ტვირთის გატარებას ბლოკავდა.[123] აღსანიშნავია, რომ სუს-ი და სხვა სახელმწიფო უწყებები მყისიერად გამოეხმაურნენ ამ დეზინფორმაციულ გზავნილებს და გააკეთეს შესაბამისი განმარტებები. ინტერეთნიკური დაპირისპირების კიდევ ერთი მაგალითი დაფიქსირდა ყარაბაღის კონფლიქტის დროს, როდესაც არაიდენტიფიცირებულმა პირებმა, ეთნიკური აზერბაიჯანით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გადაჭრეს და დააზიანეს მიწის ქვეშ გამავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომლითაც ინტერნეტი მიეწოდებოდა სომხეთს.

6. ეკონომიკური მიზნების მქონე პოლიტიკური საქმიანობა

6.1. რუსული გავლენები ეკონომიკასა და ენერგეტიკის სექტორში

ბოლო ორ ათწლეულში ეკონომიკაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება კვლავ მნიშნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოსთვის. ეს დამოკიდებულება ძირითადად განპირობებულია სამი კომპონენტით: ვაჭრობა, ტურიზმი და ფულადი გზავნილები.[124] როგორც, უახლესი

122 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში, გვ 12-13. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qWp3W9

123 იაკობ ლაჩაშვილი, „დეზინფორმაცია: საქართველოს გავლით აზერბაიჯანში სირიელი მებრძოლები გადაჰყავთ და იარაღი გადააქვთ", ფაქტმეტრი, 3 ოქტომბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3trr4uc

124 იაკობ ლაჩაშვილი, „დეზინფორმაცია: საქართველო სომხეთში ჰუმანიტარულ ტვირთს არ ატარებს", ფაქტმეტრი, 7 ოქტომბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cBYhfu

ისტორია გვაჩვენებს, მოსკოვი მუდმივად ცდილობს ეკონომიკური ზეგავლენის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას - რაც არაერთხელ დადასტურდა საქართველოს შემთხვევაში.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში საქართველოდან რუსეთში ექსპორტი მუდმივად და სტაბილურად იზრდებოდა, რაც ერთი მხრივ, რა თქმა უნდა დადებითად მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკაზე, თუმცა, მეორე მხრივ, ზრდიდა საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას რუსეთზე, რაც საქართველოს ეკონომიკისა და უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით რუსეთს არაერთხელ „დაუსჯია" საქართველო. 2006 წელს, საქართველოს მკაფიო ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს, რუსეთი გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების შეზღუდვით, ქართული პროდუქტების იმპორტის აკრძალვითა და ათასობით საქართველოს მოქალაქის გამოძევებით შეხვდა. მოგვიანებით, 2019 წელს, 20 ივნის განვითარებული მოვლენების[125] შემდეგ, რუსეთის მოქალაქეებისთვის „გაზრდილი რისკების" საბაბით, რუსეთმა საქართველოს მიმართულებით ფრენები შეაჩერა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ტურიზმის სექტორს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები დრამატულად შემცირდა. 2008-12 წლებში საქართველოდან ექსპორტი რუსეთის მიმართულებით მკვეთრად დაეცა და 1.5%-სა და 2%-ს შორის მერყეობდა. 2013 წლიდან (საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ) ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ზრდა დაიწყო და პიკს 2019 წელს მიაღწია. 2017-19 წლებში რუსეთი საქართველოს სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორი იყო როგორც ექსპორტის ისე იმპორტის მაჩვენებლებით.[126]

მთლიანობაში, ქართული ექსპორტის დაახლოებით 63%[127] 7 ქვეყანაზე მოდის (ჩინეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი), რაც ბაზრების დივერსიფიკაციის პრობლემაზე მიუთითებს.

საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ტურიზმი. ტურიზმი, საქართველოში ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია და მისგან მიღებულმა შემოსავლებმა, 2018-19 წლებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 12-13% შეადგინა. უცხოელი ვიზიტორების უმრავლესობას რუსი ტურისტები წარმოადგენენ[128] და მათი რიცხვი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2019 წლის ჩათვლით (1,471,558 რუსი ვიზიტორი 2019 წელს). რუსი ტურისტების მზარდი რიცხვი შესაძლოა პოზიტიურ გავლენას ახდენდეს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, თუმცა გაზრდილი დამოკიდებულება და დივერსიფიკაციის ნაკლებობა, ტურიზმის უკან შენიღბულ პოტენციურ სადაზვერვო საქმიანობასთან ერთად, ასუსტებს ქვეყნის ზოგად უსაფრთხოებას.[129]

კიდევ ერთი სექტორი, რომელიც საგრძნობლად დამოკიდებულია რუსეთზე არის სოფლის მეურნეობა - საქართველოში მოხმარებული ხორბლის დაახლოებით 80-85%-ის იმპორტი ხორციელდება რუსეთიდან, და ექსპორტირებული ღვინის ნახევარზე მეტიც (57%) რუსეთზე მოდის. ხორბლის პროდუქტები (განსაკურებით პური) ქართული სამომხმარებლო კალათის ტრადიციულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კორონავირუსის კრიზისის ფონზე, 2020 წლის დასაწყისიდან ივლისის

125 პომპესკუ ო. ზამფირ, "Propaganda made-to-measure: How our vulnerabilities facilitate Russian influence"~, გრასი, 22 თებერვალი, 2019, ხელმისაწვდომია: https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-22/359.pdf

126 Civil.ge, "ჯანდაცვის სამინისტრო: საპროტესტო აქციაზე 240 ადამიანი დაშავდა", 21 ივნისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/309650

127 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა", ნანახია - 10 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OLbcUv

128 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019", მაისი, 2020, ხელმისავდომია: https://bit.ly/3gsTjmP

129 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, „საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკა", ნანახია - 11 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://gnta.ge/ statistics/

თვემდე, რუსეთმა პრაქტიკულად შეაჩერა ხორბლის ექსპორტი. რუსულ ხორბალზე დამოკიდებულების რისკების გათვალისწინებთ, საქართველომ უნდა იზრუნოს მომწოდებლების დივერსიფიკაციაზე ან წაახალისოს შიდა წარმოება. მომწოდებლების დივერსიფიცირების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა (მაგალითად ყაზახეთის მიმართულებით), თუმცა, სამწუხაროდ, ეს პროცესები COVID-19-ის პანდემიის ფონზე შეფერხდა.[130] როდესაც ვსაუბრობთ ქართული ღვინის ექსპორტზე, უნდა აღინიშნოს, რომ 2011-დან 2019 წლამდე რუსეთის წილი ღვინის ექსპორტში 0.04%-დან 57%-მდე გაიზარდა. 2006 წელს ქართულ პროდუქტებზე რუსეთში გამოცხადებული ბოიკოტის და 2019 წელს რუსეთის დუმაში 20 ივნისის მოვლენების საპასუხოდ საქართველოდან ღვინის იმპორტის აკრძალვაზე მსჯელობის[131] გათვალისწინებით, ფაქტია, რომ რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილები რუსეთზე დამოკიდებულების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. 2000-2012 წლებში, რუსეთიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილები ქვეყანაში შემოსული გზავნილების ნახევარზე მეტს შეადგენდა. თუმცა, 2012 წლიდან 2019 წლამდე რუსეთის წილი მთლიან გზავნილებში 56%-დან 25%-მდე შემცირდა, რაც ერთი მხრივ, გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთიდან გზავნილების მოცულობა მცირდებოდა, და მეორე მხრივ, გზავნილები სხვა ქვეყნებიდან (იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, აშშ) მუდმივად იზრდებოდა.[132] ბოლო წლებში, ემიგრანტების ახალ ნაკადები საქართველოდან ძირითადად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართულებით მოძრაობდნენ, რამაც ევროკავშირიდან გზავნილების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ასევე საგრძნობლადაა გაზრდილი გზავნილების მოცულობა ისრაელიდან და თურქეთიდან.

რუსული კომპანიები ასევე ფლობენ სტრატეგიულ ინფრასტრუქტურას საქართველოში, რაც უსაფრთხოების გამოწვევებს წარმოქმნის ქვეყნისთვის. რუსული ინვესტიციები საქართველოში მოიცავს: „თელასი" - მსხვილი ელექტროენერგიის პროვაიდერი კომპანია (რომელსაც ფლობს რუსული კომპანია Inter Rao Energy, მოსკოვში განთავსებული სათაო ოფისით); VTB ბანკი (ნაწილობრივ რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში), რომელიც მიუხედავად იმისა რომ საბანკო ბაზრის მხოლოდ 5%-ს იკავებს საქართველოში, აქტივების მოცულობით მესამე ყველაზე მსხვილი ბანკია[133] (ასევე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების გენერალურ სპონსორსაც წარმოადგენს); რუსული „ლუკოილი" (Lukoil) აკონტროლებს ქართული ბენზინის ინდუსტრიის მნიშვნელოვან წილს (მე-5 უმსხვილესი მოთამაშე ბაზარზე); რუსული კომპანიები ასევე ფლობენ წილებს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში (მაგალითად ჰიდროელექტროსადგურები ხრამჰესი 1 და ხრამჰესი 2[134]), და რუსული ინვესტიციები ასევე წარმოდგენილია საზღვაო პორტებში. შესაბამისად, გარდა პირდაპირი ეკონომიკური დამოკიდებულებისა რუსეთზე (ტურიზმი, ვაჭრობა და გზავნილები), რაც საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 9-10%-ს შეადგენს, ქართულ ეკონომიკაში არსებობს დიდი ოდენობით რუსული კაპიტალი.

ანაკლიის პროექტის გაჩერება, იყო ეს რუსეთის ზეგავლენის და ზეწოლის, თუ კონსორციუმის მხრიდან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგი, საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა. ანაკლიის საშუალებით საქართველოს შეუძლია აღმოსავლეთ-დასავლეთის სახმელეთო სავაჭრო გზაზე, რომელიც ახლა ძირითადად რუსეთის გავლით ხორციელდება, ახალი

130 COVID-19-ის პანდემიის გამო, შემოსული ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა

131 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეს-რელიზი, „ნათია თურნავა მსხვილი ყაზახური ხორბლის იმპორტიორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33XilFG

132 Tass.ru, ""The International Committee of the Duma supported the idea of stopping the import of wine and water from Georgia", 8 ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lZoVlk

133 საქართველოს ეროვნული ბანკი, „ფულადი გზავნილების სტატისტიკა", ნანახია - 13 ნოემბერი, 2020, https://bit.ly/2JRnxEn

134 VTB ბანკის 2019 წლის ფინანსური აუდიტი, ხელმისაწვდომია: https://www.nbg.gov.ge/uploads/banks/2019_udit/geo/vtb.pdf

მარშრუტი შექმნას.[135] ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტს, რომელიც საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების სასიცოცხლო კომპონენტად მართებულად მიიჩნევა, შეეძლო პირველი მნიშვნელოვანი ამერიკული ინვესტიცია გამხდარიყო, რომელსაც შესაძლოა სხვა დასავლელი ინვესტორებისთვის „გაეკვალა გზა".

ბოლო წლებში, საქართველოს დამოკიდებულება რუსულ ენერგო მატარებლებზე, მნიშვნელოვნად შემცირდა. მცირეა საქართველოს დამოკიდებულება პირდაპირ რუსულ ინვესტიციებზეც. 2019 წლის მდგომარეობით, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი მთლიანი ელექტროენერგიის მოხმარების 4%-ს შეადგენდა. ბუნებრივი აირის შემთხვევაში კი, ეს მონაცემი 2018 წელს 1.7%-ს უტოლდებოდა (2005 წელს რუსეთის წილი 100% იყო). თუმცა, ამის მიღწევა ბუნებრივი აირის იმპორტის თითქმის სრულად აზერბაიჯანზე დამოკიდებულების ხარჯზე მოხერხდა, რაც ნაწილობრივ ალტერნატიული მომწოდებლების ნაკლებობითაც იყო გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლამდე, საქართველო მის ტერიტორიაზე რუსეთიდან „გაზპრომის" მიერ სომხეთისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობიდან 10%-ს იღებდა, რაც შემდეგ მონეტარული გადახდით ჩანაცვლდა. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, კონტრაქტის პირობების შეცვლა გაზპრომის ინტერესებში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონტრაქტის დეტალები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, ფაქტია, რომ საქართველო ახალი შეთანხმებისგან წინა კონტრაქტთან შედარებით ნაკლებ სარგებელს იღებს.[136] ბოლო წლებში, ასევე შემცირდა პირდაპირი რუსული ინვესტიციების მოცულობა. 2015-19 წლებში, საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (FDI), რუსეთის წილი მხოლოდ 3,4%-ს შეადგენდა. თუმცა, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 38-40% ოფშორული ზონებიდან შემოდის (დაახლოებით 6% პანამიდან, 2,6% მარშალის კუნძულებიდან, 2% კვიპროსიდან[137] და ა.შ.) და ზოგიერთ შემთხვევაში ეს ინვესტიციები რუსულ კაპიტალსა და ინტერესებთანაა დაკავშირებული.

წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთი კვლავ მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას დაბლოკოს ქართული პროდუქციის იმპორტი, შეზღუდოს რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლა, გაართულოს გზავნილების გამოგზავნა ან ერთდროულად განახორციელოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება, რა შემთხვევაშიც საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს მიიღებს (მშპ-ის 10%).

6.2. ჩინეთის ეკონომიკური გავლენა და აქტივობები

ჩინეთის მიდრეკილება დაამყაროს ფარული კავშირები და დადოს საეჭვო გარიგებები სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან, მათი მხრიდან დემოკრატიული სტანდარტებისა და პრინციპების ნაკლები პატივისცემით აიხსნება. ჰუდსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, ჯონას პარელო-პლესნერი, თავის ნაშრომში „ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო ჩარევის ოპერაციები: როგორ უნდა უპასუხონ აშშ-მა და სხვა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა" აღნიშნავს, რომ „დასავლელი მაღალი თანამდებობის პოლიტიკური ფიგურები პენსიაზე გასვლის შემდეგ ბუნებრივად მიდრეკილნი არიან მაღალანაზღაურებადი სამსახურების მიმართ, რომლის შეთავაზებაც ჩინურ კომპანიებს მარტივად შეუძლიათ".[138] ჩინური კომუნისტური პარტია მხოლოდ დასავლელი პოლიტიკური ფიგურებით არ შემოიფარგლება და ისინი საქართველოშიც აქტიურად ახორციელებენ პოლიტიკოსებისა და საჯარო ფიგურების

135 Inter Rao - ს ვებგვერდი, „საერთაშორისო ბიზნეს აქტივები", ნანახია - 8 ნოემბერი, 2020, https://bit.ly/3oBssI6

136 პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი, Op-Ed: „"Anaklia Deep-Sea Port – too Important for Georgia and the West to Lose", iep-berlin.de, 17 ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: , https://bit.ly/3guTE8T

137 ვალერი კვარაცხელია, „რა მიზანს ემსახურება ქართული მხარისა და "გაზპრომის" მოლაპარაკებები", ფაქტმეტრი, 27 იანვარი, 2016, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bYH158

138 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა", ნანახია - 9 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37OFg7h

რეკრუტირებას. ჩინეთის ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია „ჩინეთის ენერგეტიკული ფონდის კომიტეტი" (CEFC). „სამოქალაქო იდეამ"[139] ჩაატარა კვლევა CEFC-ის საქმიანობის გამოსაძიებლად საქართველოში და შეისწავლა მისი კავშირები ქართველ მოხელეებსა და მათი ნდობით აღჭურვილ პირებთან და ამ პროცესში არსებული კორუფციული პრაქტიკები (რომელის შესახებაც ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ორგანიზაციის ანგარიშში „საქართველოს ჩინური ოცნება", რომელიც „Transitions Online"-ზე გამოქვეყნდა).[140] როგორც აღმოჩნდა, ამ კომპანიას საკმაოდ ნეგატიური საერთაშორისო რეპუტაცია გააჩნია, სხვადასხვა ქვეყანაში კომპანიის მართველი რგოლის კორუფციულ სკანდალებში და საპატიმრო დაწესებულებებში მოხვედრის გამო. კონგლომერატს თავმჯდომარეობდა იე ჯიანმინგი, Fortune 500-ის მეწარმე, რომელიც ნიუ-იორკში დააპატიმრეს რამდენიმე ბრალდებით. 2018 წელს იე ჯიანმინგი გაუჩინარდა და კომპანიის საგარეო აქტივები ჩინეთის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიამ ჩაიგდო ხელში.[141] დღეისთვის, CEFC-ის გაკოტრების საქმეც დახურულია. CEFC-ის ჩინელი წარმომადგენლები ახლო კავშირებს ამყარებდნენ ქართველ პოლიტიკურ ფიგურებთან და ბიძინა ივანიშვილის (საქართველოს უმდიდრესი ადამიანი და ყოფილი პრემიერ მინისტრი) ნდობით აღჭურვილ ბიზნესმენებთან. მათ შორის არიან: ივანე (ვანო) ჩხარტიშვილი, საბჭოთა წარსული მქონე ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც შევარდნაძის მთავრობაში ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა ეკავა"; ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს ექს-პრემიერი და ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი; ოთარ ფარცხალაძე, ყოფილი გენერალური პროკურორი; ირაკლი კერვალიშვილი, PACE-ჯგუფის თანადამფუძნებელი, და ა.შ.

დღეის მდგომარეობით, CEFC ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილის მფლობელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს ექს-პრემიერი და ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი, სოლიდურ ანაზღაურებას იღებდა CEFC-სგან (რაც ასახულია მის დეკლარაციაში), როგორც CEFC-ის რეგიონალური მმართველი საბჭოს მრჩეველი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, CEFC-ის გაკოტრების დოკუმენტების მიხედვით, არის ის, რომ მათ ყველაზე დიდ კრედიტორს, ზემოთ ნახსენებ „ვი-თი-ბი" (VTB) ბანკს, იპოთეკის გარანტიის ფარგლებში, შეუძლია მთლიანად დაისაკუთროს ფოთის ინდუსტრიული ზონის წილები. საქართველოს მთავრობა, „სამოქალაქო იდეის" არაერთი მიმართვის მიუხედავად, უარს აცხადებს საკითხზე ნებისმიერი სახის განმარტების გაკეთებისგან.[142]

სამწუხაროდ, CEFC არ არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც შეგვიძლია აშკარად დავინახოთ ქართული სახელმწიფო უწყებების უუნარობა აღასრულონ კანონით განსაზღვრული მოვალეობები და აღკვეთონ კორუფციის რისკები თუ სხვა არალეგალური მაქინაციები. საეჭვო საერთაშორისო რეპუტაციის მქონე არაერთი ჩინური კომპანია მონაწილეობს საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საქართველოს ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ხაზს უსვამს ადგილობრივი ხელისუფლების კეთილსინდისიერების ნაკლებობას. „სამოქალაქო იდეა" ახორციელებს და იკვლევს საეჭვო რეპუტაციით გამორჩეული ჩინური კომპანიების საქმიანობას საქართველოში და ქვემოთ გთავაზობთ იმ ჩინური კომპანიების არასრულ სიას, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობენ და დაკავშირებულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო სკანდალთან:

- Sinohydro Corporation Limited
- TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd

139 ჯონას პარელო-პლესნერი, "The Chinese Communist Party's Foreign Interference Operations: How the U.S. and Other Democracies Should Respond", ჰადსონის ინსტიტუტი, 20 ივნისი, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30QA6Vg

140 „სამოქალაქო იდეის" შესახებ, ორგანიზაციის ვებგვერდი: https://civicidea.ge/

141 სინოპსისი & თინა ხიდაშელი, „საქართველოს ჩინური ოცნება", Transitions Online, 17 dekemberi, 2018, https://bit.ly/38S-dVCm

142 ვეჩატსქოუფი, "Censored on WeChat: the disappearance of Ye Jianming, former chairman of CEFC China Energy", Advox Global Voices, 15 მარტი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cE4Jmo

- Nuctech Company Limited (Nuctech Co., Ltd)
- Toption Group Co., Ltd.
- China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd (a subsidiary of China Nuclear Engineering Group
- Co. Ltd.)
- Fujian HADA Intelligence Technology Co., Ltd
- China Railway 23r'd Bureau Group, Co., Ltd
- SHENZHEN SED INDUSTRY CO., LTD (China)
- China Energy Engineering Group Northwest Power Construction Engineering Co., Ltd

ამ კომპანიების უმრავლესობა შერჩევითად მოქმედებენ განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც ნაკლებია გამჭვირვალობა და გაცილებით მარტივია სხვადასხვა კორუფციული სქემების გამოყენება, ფულის გათეთრება და თაღლითობა ნებისმიერი ფორმით. მაგალითად, სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ჩინური კომპანია „SinoHydro", რომელიც რამდენიმე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს საქართველოში, შემჩნეულია მისი თანამშრომლების სამუშაო და უსაფრთხოების სტანდარტების სისტემატურ დარღვევებში, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. ეს კომპანია გახდა „აფრიკის განვითარების ბანკის" (AFBD) ინტერესის საგანი, რომელმაც მისი კორუფციული მაქინაციები და თაღლითური კონტრაქტები გამოამჟღავნა ზიმბაბვეში, კენიაში, უგანდაში, ზამბიასა და ბოტსვანაში.[143] „მსოფლიო ბანკი" მიჰყვა „აფრიკის განვითარების ბანკის" პრაქტიკას და აზიაში აღმოჩენილი კორუფციული გარიგებების გამო SinoHydro და China CAMC Engineering მის შავ სიაში შეიყვანა.[144] SinoHydro-ს ირგვლივ არსებული თაღლითობისა და კორუფციის უამრავი სკანდალური ფაქტის მიუხედავად, ქართულ მხარეს არასოდეს უწარმოებია საქართველოში კომპანიის საქმიანობის დეტალური შესწავლა და არც კომპანიის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აკრძალვაზე უმსჯელია. ამის შედეგია, რომ საქართველოს აქვს ძალიან დიდი რაოდენობით დაუსრულებელი პროექტები, დაბალი ხარისხის მშენებლობები და მუდმივი უსიამოვნებები სახელმწიფო მნიშვნელობის სატრანზიტო გზების მშენებლობის პროცესში.

7. სადაზვერვო საქმიანობა და გავლენის ოპერაციები

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური შედგება ორი ძირითადი ინსტიტუტისგან: საქართველოს დაზვერვის სამსახური (GIS)[145], რომელიც პასუხისმგებელია საგარეო აქტივობებზე, და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (SSSG) - რომელიც პასუხისმგებელია კონტრ-დაზვერვით საქმიანობაზე.[146]

2015 წლიდან მოყოლებული, სუს-ი აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს[147], რომლებიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად, კონტრ-დაზვერვით აქტივობებსაც ფარავს. ანგარიშების მიხედვით, რუსული ოკუპაცია და უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს ქართული კონტრ-დაზვერვითი საქმიანობის პოლიტიკის ორ ძირითად

143 ჰერალდი, "AfDB blacklists Sinohydro", ", herald.co, 20 ივნისი, 2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OAAkgV
144 ნიკო დიზონი, "Chinese company banned by World Bank bags PH infrastructure project", Business Inquirer, 26 ოქტომბერი, 2016, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tvPKSj
145 საქართველოს დაზვერვის სამსახურის ვებგვერდი, „ჩვენ შესახებ", https://www.gis.gov.ge/iinfo/4
146 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდი, „ჩვენ შეახებ", https://ssg.gov.ge/en/page/about-us/info
147 სუს-ის „წლიური ანგარიშები", ნანახია - 8 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/en/page/info/reports

გამოწვევას. ანგარიშები მიუთითებენ, რომ უცხო ქვეყნების სადაზვერვო სააგენტოები, საქართველოში მათი მიზნების მისაღწევად „ჰიბრიდული ომის" ინსტრუმენტების მთელ არსენალს აქტიურად იყენებენ. "საკუთარი ამოცანების შესასრულებლად, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად იყენებენ „ჰიბრიდული ომის" ტაქტიკას, რომლის საშუალებითაც პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, კიბეროპერაციებისა და ცალკეული კიბერშეტევების, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ–პოპულისტური გაერთიანებების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას ცდილობენ" - ვკითხულობთ სუს-ის ანგარიშში. სუს-ის ცნობით, იყო არაერთი მცდელობა [რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან] გამოეყენებინათ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიები საიდუმლო ოპერაციების განსახორციელებლად. ამას გარდა, საგარეო აქტორებისა და სააგენტოების იდენტიფიცირების გარეშე, ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემის NATO-ს სტანდარტებთან დაახლოების პროცესში, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების მიმართ.

2012 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა , არ დაფიქსირებულა რუსი მზვერავების დაკავების თუ საჯაროდ გამოაშკარავების არც ერთი შემთხვევა. როგორც მაღალი რანგის უშიშროების ოფიცერმა განმარტა ამ კვლევის ფარგლებში მოცემული ინტერვიუს დროს, საქართველო მიმართავს ნაკლები საჯაროობის პოლიტიკას, როდესაც ხდება უცხოური სადაზვერვო ქსელებისა და აქტივობების აღმოჩენა. 2015-20 წლებში სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 50-ზე მეტი კონტრდაზვერვითი გამოძიები დაიწყო (საუბარია დახურულ გამოძიებებზე). როცა საქმე სადაზვერვო საქმიანობას ეხება, ქართული მხარე თავს იკავებს ნებისმიერი უცხოელი აქტორის დასახელებისგან, თუ საქმე თავისთავად არ გახდა საჯარო ან რომელიმე სხვა ქვეყნის უშიშროების სამსახურმა არ გაახმაურა რომელიმე კონკრეტული შემთხვევა.

2019 წლის 28 ოქტომბერს, ქართული ვებგვერდების, სერვერების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლოების და სხვადასხვა მუნიციპალური ორგანოების, სახელმწიფო უწყებების, კერძო კომპანიებისა და მედია საშუალებების ოპერაციული სისტემების წინააღმდეგ მასობრივი კიბერ შეტევა განხორციელდა.[148] კიბერ შეტევის შედეგად, ამ ორგანიზაციების ვებგვერდებს და ოპერაციულ სისტემებს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, რამაც მათი ფუნქციონირების შეფერხება გამოიწვია. გამოძიებამ, რომელიც საქართველოს შესაბამისი უწყებებისა (შინაგან საქმეთა სამინისტრო და სუს-ი) და ამერიკელი და ბრიტანელი პარტნიორების მიერ განხორციელდა, აღნიშნული მასობრივი კიბერ შეტევა რუსეთის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (GRU) სამხედრო დაზვერვის სააგენტოს დაუკავშირა[149], რომელიც ცნობილია როგორც Unit 74455 და Sandworm.

კიდევ ერთი მასიური კიბერ შეტევა 2020 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა, რომელმაც ამჯერად სამიზნეში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამოიღო[150]. შსს მოხსენებიდან ირკვევა, რომ კიბერ შეტევის ძირითად მიზანს, სამინისტროს და მისი აპარატის, მათ შორის „რ. ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ცენტრის" დოკუმენტების და პანდემიის მართვის შესახებ ინფორმაციის არალეგალური მოპოვება და გამოყენება წარმოადგენდა. გამოძიების წინასწარი შედეგების მიხედვით კიბერ შეტევის კვალი რუსეთში მიდის, თუმცა საბოლოო შედეგები ჯერაც არ გამოქვეყნებულა. ლუგარის ცენტრი დიდი ხანია რუსეთის

148 გიორგი გოთევი, "Georgia reports massive cyber-attack carried out by Russia", Euroactiv, 21 თებერვალი, 2020, https://bit.ly/2VWkHAo

149 მაიკლ რ. პომპეო, "The United States Condemns Russian Cyber Attack Against the Country of Georgia", ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-რელიზი, თებერვალი, 2020, https://bit.ly/2VRTIG2

150 Civil,ge, "შსს: უცხოურმა სპეცსამსახურმა ჯანდაცვის სამინისტროსა და ლუგარის ცენტრზე კიბერშეტევა განახორციელა", 3 სექტემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/365167

მავნე სახელმწიფო დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნეა[151], რომელიც ავრცელებს ყალბ ნარატივს, რომ ცენტრში „საიდუმლო საქმიანობა და საშიში ექსპერიმენტები" ხორციელდება.

როგორც სუს-ის წლიური ანგარიშიდან ირკვევა, საგარეო აქტორებს აქვთ განსაკუთრებული ინტერესი საქართველოში ეთნიკური დაპირისპირების გასაღვივებლად (იხილეთ ამ კვლევის მე-5 თავი). „უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტივობების განხორციელებისას მიზნად ისახავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას" - ვკითხულობთ სუს-ის ანგარიშებში. ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა 2020 წლის მაისში, როდესაც სუს-მა რასობრივი დისკრიმინაციის მუხლით გამოძიება დაიწყო.[152] სუს-ის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, არსებობდნენ რუსეთის მოქალაქე ადამიანების ჯგუფები, ასევე კონკრეტული ინდივიდები საქართველოდან, რომლებიც ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში ეთნიკურ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირების გაღვივებას ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სუს-მა თავი შეიკავა ამ ჯგუფებისა თუ ინდივიდების დასახელებისგან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და რადიკალური სასულიერო პირებისა და პრორუსული „ქართული მარშის" ჩართულობა ღიად მიუთითებდა რუსულ კვალზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უშიშროების სამსახურებს ახასიათებთ გადამეტებული სეკრეტულობა და „კაგებე"-ს სტილის დახურულობა. არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს დასავლელი პარტნიორების უსაფრთხოების სამსახურები უფრო ღიად საუბრობდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ვიდრე ქართული უწყებები. 2020 წლის 12 თებერვალს, ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა (EFIS)რომელსაც როგორც წესი აქვს საკმაოდ სანდო და ყოვლისმომცველი მონაცემები საქართველოზე, გამოაქვეყნა ანგარიში[153], სადაც ჩვენს რეგიონში მიმდინარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოვლენებს მიმოიხილავდა, მათ შორის სპეციფიკური აქცენტით საქართველოზე. ანგარიშში საუბარია, 2019 წელს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მისამართით გაზრდილ ზეწოლაზე. EFIS-ის ცნობით, ხისტი ძალის გარდა (იგულისხმება რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში), რუსეთი იყენებს სხვა უამრავ საშუალებას მისი გავლენის გასაზრდელად. რუსეთის რბილ ძალაზე საუბრისას, ანგარიშში ნახსენებია ორი ორგანიზაცია: „ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი" და „ალექსანდრე გორჩაკოვის სახალხო დიპლომატიის ფონდის" ადგილობრივი წარმომადგენლობა. ანგარიშში ასევე გამოთქმულია შეშფოთება, რუსეთის მხრიდან გაზრდილ დეზინფორმაციულ აქტივობებზე, რომელიც ქართული ტრადიციული ღირებულებების წახალისებას და მის ლიბერალურ, დასავლურ ღირებულებებთან შეუთავსებლად წარმოჩენას ისახავს მიზნად. EFIS-მა ამ მიმართულებით ცალკე გამოჰყო „ქართული მარში", როგორც „ექსტრემისტული მოძრაობების ქოლგა ორგანიზაცია" რომელიც ძირითად როლს თამაშობს ამ პროცესში. EFIS-მა ასევე ხაზი გაუსვა „ქართული მარშის" ანტიდასავლურ პოზიციებს და აღნიშნა, რომ „ქართული მარშის ლიდერებს შორის არიან ადამიანები, რომლებსაც ახლო კავშირები აქვთ რუსეთთან და მის გავლენის ოპერაციებთან". EFIS-მა ასევე გააფრთხილა ქართული მხარე, რომ რუსეთის 2020 წლის არჩევნებში ჩარევას შეეცდება რათა „[რუსეთისთვის] უფრო სასურველი არჩევნების შედეგები" უზრუნველყოს.

საქართველო, მის სადაზვერვო და კონტრდაზვერვით საქმიანობაში სერიოზულ დახმარებას იღებს მისი დასავლელი პარტნიორებისგან, რაც განსაკურებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს არ აქვს საკმარისი ადამიანური და

151 „მითების დეტექტორი", „რატომ ესხმის კრემლი თავს პერიოდულად ლუგარის ლაბორატორიას?, 7 ივლისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bXG8de

152 სუს-ის განცხადება, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო", 30 მაისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30WP0tf

153 ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ანგარიში, „International Security and Estonia 2020", ნანახია - 7 ნოემბერი, 2020, ხელმისავდომია: https://bit.ly/2OBrpMf

ფინანსური რესურსები, რომ დამოუკიდებლად გაუმკლავდეს რუსეთის მავნე და მტრულ მოქმედებებს. მაღალი რანგის უშიშროების ოფიცრის მიხედვით, (რომელმაც ინტერვიუს დროს ანონიმურად დარჩენა ისურვა), საქართველოს უშიშროების სამსახურები, აქტიურად თანამშრომლობენ დასავლურ უსაფრთხოების სამსახურებთან. ეს თანამშრომლობა, განსაკურებულად წარმოჩინდა 2019 წელს საქართველოზე განხორციელებული კიბერ შეტევის საპასუხო ღონისძიებებში, როდესაც ქართულმა, ამერიკულმა და ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა აწარმოეს ერთობლივი გამოძიება რუსეთის წინააღმდეგ და საბოლოოდ გამოააშკარავეს კიდეც დამნაშავეები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა მხარემ რუსეთი ღიად მხოლოდ მას შემდეგ დაადანაშაულა, რაც დასავლურმა სახელმწიფოება ოფიციალურად გააკეთეს განცხადებები.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები, ზოგადად, განიცდიან დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების ნაკლებობას და მიდრეკილნი არიან პოლიტიკური (პარლამენტი) და დემოკრატიული (მედია, საზოგადოება) ზედამხედველობის თავიდან აცილებისკენ. ეს ყველაფერი კი, უსაფრთხოები სამსახურებისთვის ისედაც ორგანულ სეკრეტულობასთან ერთად, გარე დამკვირვებლისთვის თითქმის შეუძლებელს ხდის ანალიტიკური მიზნებისთვის ნებისმიერი სახის მონაცემების შეგროვებას (თუნდაც უკიდურესად არასენსიტიური ინფორმაციის), რამაც საბოლოოდ ამ უწყებებში პასუხისმგებლობის დეფიციტთან შეიძლება მიგვიყვანოს.

8. დეზინფორმაციული კამპანიები

8.1. რუსეთის დეზინფორმაციული ძალისხმევა

პრო-კრემლისტური დეზინფორმაციის მთავარ ამოცანას საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ობსტრუქცია და ქვეყნის უკან, რუსულ ორბიტაზე დაბრუნება წარმოადგენს. ამ კუთხით, რუსული დეზინფორმაცია ცდილობს დასავლეთის მისამართით ნეგატიური სენტიმენტები გაღვივებას და ქვეყნის დასავლელი პარტნიორების მიმართ საზოგადოების ნდობის ძირის გამოთხრას, დასავლური ღირებულებების ქართულ იდენტობასა და ღირებულებებთან შეუთავსებლობის წარმოჩენის გზით. პრო-კრემლისტური აქტორები, ასევე, საქართველოს NATO-ში გაწევრების შემთხვევაში რუსეთთან გარდაუვალი სამხედრო დაპირისპირების შიშს ნერგავენ, რაც მიზნად ქართულ საზოგადოებაში, ევრო-ატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით, შიდა დაპირისპირების წარმოქმნას და კონსენსუსის პოვნის გართულებას ისახავს მიზნად. მაშინ როცა, რუსეთის გრძელვადიან ამოცანას, საქართველოს ევრო-ატლანტიკური არჩევანის ძირის გამოთხრა წარმოადგენს, მოკლე-ვადიანი ამოცანა საქართველოს არჩევნებში ჩარევა და მისთვის სასურველი კანდიდატების მხარდაჭერაა, ისევე როგორც ზოგადად ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა საკითხებზე გაურკვევლობის დანერგვა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება.

საქართველოში პრო-კრემლისტური დეზინფორმაცია სხვადასხვა აქტორის მიერ ვრცელდება. კრემლის მიერ დაფინანსებული მედიები, როგორებიცაა „სპუტნიკ საქართველო" და „ნიუსფრონტ საქართველო" ხშირად აქვეყნებენ ყალბ ამბებს. ორივე პროპაგანდისტული მედია ქმნიდა და მართავდა არაავთენტურ ქსელს Facebook-ზე, რომელიც პლატფორმაზე აუდიტორიის ხელოვნურად გაზრდისა და კონტენტის გავრცელებისთვის გამოიყენებოდა. 2020 წლის მაისში, Facebook-მა შენიღბული გვერდებისა და ყალბი ინდივიდუალური ანგარიშებისგან შემდგარი „სპუტნიკის" არაავთენტური კოორდინირებული ქსელი წაშალა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებში კოორდინირიბულად ავრცელებდა „სპუტნიკის" კონტენტს.[154] Facebook-მა ასევე მისი

154 ნინო რიჟამაძე, „რუსული საინფორმაციო ოპერაცია საქართველოში - „სპუტნიკის"კოორდინირებული ქსელი FACE-BOOK-ზე", ISFED, 8 აპრილი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Qiqd0E

პლატფორმიდან წაშალა „ნიუსფრონტთან" დაკავშირებული არაავთენტური ქსელიც, რომელიც ძირითადად ყალბი ანგარიშებისგან შედგებოდა და „ნისუფრონტის" კონტენტის გაზიარებით იყო დაკავებული. ორივე ეს ქსელი შენიღბულად მოქმედებდა რათა მათი რეალური იდენტობისა და მიზნებს დამალვით Facebook-ის მომხმარებლები შეცდომაში შეეყვანათ.[155] Facebook მისი პლატფორმიდან შლის მსგავს ქსელებს, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის ქცევის სტანდარტების საწინააღმდეგოდ. კრემლის მიერ დაფინანსებული რუსული მედიების გარდა, სხვა პრო-კრემლისტური ქართული მედიები, როგორებიცაა „ასავალ-დასავალი", „საქართველო და მსოფლიო", „ობიექტივი" და სხვები, ასევე ჩართულნი არიან დეზინფორმაციის გავრცელებაში. 2019 წელს, „მედიის განვითარების ფონდმა" შეამოწმა მსგავსი აქტორების მიერ გავრცელებული 199 განცხადება და აღმოჩნდა რომ 'საქართველო და მსოფლიომ", „სპუტნიკ საქართველომ" და „საქინფორმმა", შესაბამისად გაავრცელეს 31, 17 და 16 ყალბი ამბავი.[156] ქართული ულტრა-მემარჯვენე, პრო-კრემლისტური და ანტიდასავლური პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების აქტივობა სულ უფრო იზრდება როგორც 'ონლაინ' ისე 'ოფლაინ' სივრცეში. „პატრიოტთა ალიანსი", საპარლამენტო არჩევნების წინ, ანტითურქული ბილბორდებისა და Facebook რეკლამების საშუალებით ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებას ცდილობდა, რაც რუსეთიდან მომავალი საფრთხისგან ყურადღების გადატანას ისახავდა მიზნად.[157] ქართული ულტრა-მემარჯვენე და ანტიდასავლური ჯგუფი „ალტ-ინფო" წინასაარჩევნო პერიოდში ასევე შედარებით გააქტიურდა Facebook-ზე. ეს ჯგუფი საკუთარი თავის სანდო და მეინსტრიმულ მედია საშუალებად წარმოჩენას ცდილობდა, საკუთარი აუდიტორიის გასაფართოებლად ატარებდა Facebook ლაივ ინტერვიუებს და აზიარებდა სტატიებს, საბოლოოდ კი, დასავლეთის მიმართ უნდობლობის დათესვითა და ანტი ლგბტ სენტიმენტების გაღვივებით ანტიდასავლური პოლიტიკური დღის წესრიგის დამკვიდრებას ცდილობდა. ქართულმა ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული მარშმა", რომელიც ცნობილია რასიზმზე, ჰომოფობიასა და ქსენოფობიაზე დაფუძნებული ძალადობრივი ქმედებებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვართან გამართა აქცია, როთაც დაბნეულობის გამოწვევასა და ანტი-აზერბაიჯანული სენტიმენტების წახალისებას ცდილობდა.[158] რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირები, ასევე მონაწილეობდნენ პრო-კრემლისტური დეზინფორმაციის გავრცელებაში.

კრემლის დეზინფორმაცია საქართველოში სხვადასხვა წყაროებით ვრცელდება, ისეთებით როგორებიცაა, სოციალური ქსელები, ბეჭდური და ონლაინ მედია, და ტელე-მაუწყებლები. სხვადასხვა აქტორების მიერ განმეორებითად გავრცელებული დეზინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ამ ნარატივების მიმართ მოსახლეობის მიმღებლობისა და გამავრცელებელი აქტორების სანდოობის გაზრდა წარმოადგენს.[159] პრო-კრემლისტური აქტორები მუდმივად ეხმაურებიან მიმდინარე მოვლენებს და მოსახლეობას მყისიერად სთავაზობენ ამა თუ იმ მოვლენის საკუთარ ინტერპრეტაციას რათა აუდიტორიას შეუქმნან პირველადი წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ პრო-კრემლისტური დეზინფორმაცია ყოველთვის მხოლოდ ყალბ ამბებს არ შეიცავს, არამედ ხშირად მას გააჩნია სიმართლის ელემენტები, რომელთა ირგვლივაც ხდება ყალბი ნარატივების ფორმირება.[160] ეს მეთოდი გამოიყენება იმისთვის,

155 ISFED, "News-Front-ის არაავთენტური ანგარიშების წარსული: ჩართულობა საპენსიო სააგენტოსა და ცესკოს მხარდამჭერ კამპანიებში", ნანახია - 3 დეკემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30QtzKm

156 თამარ კინწურაშვილი, სოფო გელავა, „ანტიდასავლური პროპაგანდა 2019", MDF, ნანახია - 15 ნოემბერი, 2020, https://bit.ly/38T8JhF

157 ეთო ბუზიაშვილი, „"Georgia's pro-Russian party provokes ethnic and religious tensions ahead of parliamentary elections", მედიუმი, 14 სექტემბერი, 2020, ხელმისავდომია: https://bit.ly/38Rh9pX

158 ლუკა პერტაია, „"Who was in and who was out in Tbilisi's far-right March of Georgians [Analysis]", OC Media, 17 ივლისი, 2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lrZvhr

159 კრისტოფერ პოლი, მირიამ მათეუსი, „The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model". RAND Corporation, 2016, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ONxDlG

160 ზვიად აძინბაია, "Strengthening State Policy to Address Anti-Western Disinformation and Propaganda in Georgia", Parliament of Georgia", 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r2nAN4

რომ სხვადასხვა ინტერპრეტაციას გაუხსნან გზა და გამავრცელებელ აქტორებს დაუტოვონ შესაძლებლობა უარყონ პროცესში მათი მონაწილეობა. Facebook-ის გარდა, ანტიდასავლური და ანტილიბერალური ქართველი აქტორები, ასევე „ტვიტერზეც" აქტიურად მუშაობენ დეზინფორმაციის გასავრცელებლად, მიუხედავად იმისა რომ ეს პლატფორმა საქართველოში არც ისე პოპულარულია.[161]

პრო-კრემლისტური დეზინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს საქართველოში საზოგადოების ის სეგმენტი წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნის ევრო-ატლანტიკუ ინსტიტუტებში ინტეგრაციის შესახებ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია. ეთნიკური უმცირესობები, ხშირად, ასევე პრო-კრემლისტური დეზინფორმაციისადმი მოწყვლად ჯგუფებად მიიჩნევიან. მაგალითისთვის, საქართველოს მოსახლეობის 53% თვლის რომ საქართველოში არსებობს რუსული პროპაგანდა, მაშინ როდესაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ია (41% უარყოფს, 41%-მა არ იცის არსებობს თუ არა რუსული პროპაგანდა საქართველოში).[162] პრო-კრემლისტური პროპაგანდა სამიზნეში ასევე უფროსი ასაკის ადამიანებს იღებს, ვინაიდან საქართველოს NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებში შედარებით დაბალია.[163]

ქართული ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები საკუთარი ანტიდასავლური და ანტილიბერალური დღის წესრიგის გასავრცელებლად აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ისინი გმობენ ლიბერალიზმს და „ტრადიციულ ღირებულებებს" ადვოკატირებენ, ამავდროულად მწვავედ აკრიტიკებენ სოციალურად პროგრესულ რეფორმების ავტორებს საქართველოში.[164] ამ ნარატივებით საქართველოს იმ დასავლელი პარტნიორების დემონიზაციას ცდილობენ, რომლებიც მხარს უჭერენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მას მნიშვნელოვან ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას უწევენ. პარალელურად კი რუსეთის საქართველოსთვის სანდო პარტნიორად წარმოჩენას ცდილობენ.

მსგავსი ნარატივები მოიცავდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის NATO-სთვის დაბრალებას, ალიანსის საქართველოსთვის საფრთხედ, ხოლო რუსეთის ქართულ-რუსულ კონფლიქტში მედიატორად წარმოჩენას.[165]

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" ავრცელებდა დეზინფორმაციას თურქეთის შესახებ როგორც 'ონლაინ' ისე 'ოფლაინ' სივრცეში, სადაც თურქეთის როგორც საქართველოსთვის ეგზისტენციალური საფრთხის წარმოჩენას ცდილობდა, რითაც ახდენდა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეებიდან ყურადღების გადატანას. „პატრიოტთა ალიანის" ლიდერები ამტკიცებდნენ რომ თურქეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. ეს ყურადღების გადატანის ტექნიკა წარმოადგენს რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებებისგან ისრების სხვა მიმართულებით - ამ შემთხვევაში თურქეთის მიმართულებით - გადატანის მცდელობას.[166] „პატრიოტთა ალიანსი" ასევე ცდილობდა აშშ-ს „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა" (NDI) და „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI) დისკრედიტაციას.

სხვა ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებიც ცდილობდნენ ანტი-ლგბტ სენტიმენტების გაღვივებით საკუთარი ანტიდასავლური დღის წესრიგის დამკვიდრებას. ისინი აზიარებდნენ სტატიებსა და ე.წ. მემე-ებს და სამიზნეში სწორედ ლგბტ ჯგუფების

161 ეთო ბუზიაშვილი, „Suspicious Georgian accounts come for Twitter", მედიუმი, 14 ივლისის, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qZdn3O

162 ზვიად აძინბაია, "Strengthening State Policy to Address Anti-Western Disinformation and Propaganda in Georgia", Parliament of Georgia", 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r2nAN4

163 NDI-ს „საზოგადოებრივი აზრის კვლევა", ივნისი 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eVshpw

164 გივი გიგიტაშვილი, "Georgian far-right Facebook pages and their stance toward Russia", მედიუმი, 18 აგვისტო, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lzomjx

165 „მითების დეტექტორი", „პატრიოტთა ალიანსის რუსული გზავნილები", ნანახია - 9 დეკემბერი, 2020 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3typ1EF

166 ეთო ბუზიაშვილი, "Georgia's pro-Russian party provokes ethnic and religious tensions ahead of parliamentary elections", მედიუმი, 14 სექტემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3s1yIuV

იმ წარმომადგენლებს იღებდნენ, რომლებიც ისედაც მუდმივი ჰომოფობიისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან სოციალურად შედარებით კონსერვატიულ საქართველოში. მაგალითისთვის, „ალტ-ინფომ" გააზიარა რამდენიმე სტატია, სადაც ხდებოდა პოლონეთის პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირების ციტირება, რომლის მიხედვითაც პოლონეთის სკოლებში შეიზღუდებოდა ლგბტ საკითხების სწავლება და ქვეყანაში გეი ქორწინება და ბავშვთა აყვანა აიკრძალებოდა.[167]

საკუთარი კონტენტის გასავრცელებლად და აუდიტორიის გასაზრდელად, ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები მედია სააგენტოებად, საბროკერო სააგენტოებად, გასართობ თუ სხვა ნებისმიერი სახით შენიღბულ Facebook გვერდებს იყენებდნენ.[168]

8.2. ჩინეთი და დეზინფორმაცია

ახალი ამბებისა და მოვლენების გაშუქების ტრადიციული ფორმები, ნაწილობრივ პანდემიის შედეგად, მეინსტრიმული მედიის ახალმა კამპანიამ ჩაანაცვლა, რომელიც მიზნად მსოფლიოს ირგვლივ COVID-19-ის გაშუქების და მისი წარმოშობის, გავრცელებისა და განვითარების შესახებ მედია საშუალებებსა და ახალი ამბების მომხმარებლებზე გავლენის მოხდენას ისახავს. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესმა უფრო განვითარებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული დღის წესრიგის წარმოქმნას შეუწყო ხელი. შესაბამისად, მსგავსი ტრანსფორმირებული რეალობა უფრო მეტ ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციის შეფასებასა და გამოცდილებების გაზიარებას მოითხოვს. ამ მიმართულებით, არც საქართველოს წარმოადგენს გამონაკლისს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის ზოგიერთი ასპექტი თანხვედრაში მოდის ტრადიციულ სახალხო დიპლომატიასთან, ბევრი მათგანი არის შეფარული, ძალადობრივი და პოტენციურად საზიანო.

ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია უპრეცედენტოდ შეფარული და დამაბნეველი ფორმით გადმოიცემა. მაგალითისთვის, 2020 წლის 23 მარტს, საქართველოში ჩინეთის ელჩმა გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც შემდეგ მისი ორი ბრიფინგიც მოჰყვა, რათა ქართული საზოგადებისთვის „ვირუსის გავრცელების ადრეული აღმოჩენისა და პრევენციის" ჩინური ეფექტიანობის შესახებ ეცნობებინა.[169] თითქმის ყველა ქართულმა მედიამ ეს ამბავი კრიტიკული გააზრების, კომენტირებისა და ანალიზის გარეშე გაავრცელა, მხოლოდ ელჩის მიერ გაჟღერებული მანიპულაციური და შეცდომაში შემყვანი ფრაზების გაშუქებით. ეს პრეცენდენტები, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების არაკეთილსინდისიერი ქმედებები, გარკვეულ როლს თამაშობს ქართულ საზოგადოებაში ჩინეთის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრების პროცესში. ბეიჯინგი წარმოჩინდება, როგორც „გადამრჩენელი", მაშინ როდესაც რეალობა სხვა რამეს აჩვენებს.

ინფორმაციის ნაკლებობის კლასიკური მაგალითი იყო კორონავირუსის ყალბი/უვარგისი სწრაფი ტესტების მწარმოებელი ჩინური კომპანია „ბიოიზი" (Bioeasy). მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიას საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ შელახული რეპუტაცია აქვს კანადაში, ესპანეთში და ჩეხეთის რესპუბლიკაში მისი მოწყობილობების ფიასკოს[170] გამო, საქართველოს მსგავსი ქვეყნები მაინც აგრძელებენ მისგან პროდუქციის შესყიდვას. თავად ის ფაქტი, რომ მხარეებს მოუწიათ უვარგის სწრაფ ტესტებთან დაკავშირებული კონტრაქტის გაუქმება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ ქართულ მედიაში მათი „გულუხვობის პოლიტიკის" შესახებ პროპაგანდის გასავრცელებლად იქნა გამოყენებული. ადგილობრივი მედიასაშუალებების მიხედვით,

167 ეთო ბუზიაშვილი, "Georgian far-right group expands Facebook presence ahead of elections", მედიუმი, 16 ივნისის, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r1kV6e

168 ეთო ბუზიაშვილი & სოფო გელავა, "Facebook removes inauthentic network connected to Georgian pro-Kremlin party", მედიუმი, 6 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30WnrjQ

169 „ინტერპრესნიუსი", ჩინეთის ელჩი - კორონავირუსის დაფიქსირებისთანავე, საქართველოს მთავრობამ ეს სერიოზულად მიიღო, სწრაფი რეაგირება მოახდინა, გადამწყვეტი ზომები გაატარა, გაზარდა პრევენციისა და კონტროლის დონე, რასაც ჩინეთი დადებითად აფასებს", 23 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r0qCkZ

170 მაირიდ მაკარდლი, "China Supplied Faulty Coronavirus Test Kits to Spain, Czech Republic", National Review, 26 marti, 2020, https://bit.ly/3tyBGHS

მოგვიანებით, ჩინეთმა საქართველოს 1000 სწრაფი ტესტი გამოუგზავნა „საჩუქრად", რომელთა უსაფრთხოება, მაღალი ხარისხი და სიზუსტე უზრუნველყოფილი იყო.[171] NDI-ს უახლესი კვლევები გვიჩვენებს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური მიზნები წარმატებით სრულდება საქართველოში, რადგან მოსახლეობის 32% ჩინეთს კორონავირუსთან ბრძოლაში სანდო პარტნიორად აღიქვამს.[172]

171 ნინი დახუნდარიძე, "Rapid Tests from China Arrive in Georgia", Georgia Today, 25 მარტი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IrT1PA

172 NDI-ს „საზოგადოებრივი აზრის კვლევა", ივნისი 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tB6mb8

დასკვნა

იმისათვის, რომ მოვახერხოთ გარე აქტორების მტრული დამოკიდებულებისა და ქცევებისგან მომდინარე რისკებთან გამკლავება, პირველ რიგში აუცილებელია ამ რისკების დეტალური ანალიზი. სწორედ ეს გახლავთ ამ კვლევის ძირითადი მიზანი. ჩვენი ამოცანაა სხვა მკვლევარებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ანალიტიკოსებს და ექსპერტულ წრეებს შესაბამისი საბაზისო კვლევა მივაწოდოთ.

საქართველო, რომელიც აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე, რუსეთსა და თურქეთს შორის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრედ მდებარეობს, ბევრი რეგიონალური მოთამაშის გავლენას განიცდის. თურქეთის ეკონომიკური ინტერესების და ჩინეთის რბილი ძალის გვერდით, ყველაზე აშკარა და გავლენიანი აქტორი, რა თქმა უნდა რუსეთია. მსი სტრატეგიულ ამოცანას სამხედრო ძალის, ფართო ჰიბრიდული არსენალის და პოლიტიკური მოკავშირეების გამოყენებით საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პრევენცია წარმოადგენს. რუსეთი ათწლეულების განმავლობაში ცდილობს საქართველოს შიდა ვითარების გაუარესებას და მასზე ზეგავლენის მოპოვებას.

როდესაც საქმე ეხება რუსეთის პოლიტიკურ აქტივებს საქართველოში, ძირითადად საუბარია ორ პოლიტიკურ პარტიაზე: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და „ქართული მარში". ამ ორ პარტიას მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთის ოფიციალურ პირებსა და სხვადასხვა სააგენტოებთან. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ორივე ეს პარტია აკრიტიკებდა და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დასავლურ მისწრაფებებს და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ადვოკატირებდნენ. რუსული გავლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტორი, რომელიც აღნიშნულია ჩვენს კვლევაში, არის ფონდი „რუსული სამყარო" (Фонд «Русский мир»), რომელიც ძირითადად კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებით აქტიურობს.

კრემლის ჰიბრიდული არსენალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და რუსული ინტეგრაციული პროექტების პრიორიტეტების შესაბამისად მოქმედებენ. მათი დიდი ნაწილი 2014 წლამდე, ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე დაფუძნდა რუსეთის სამთავრობო სააგენტოების დახმარებით. ამ პერიოდში რუსეთი ჯერ კიდევ ცდილობდა საქართველოსთვის ალტერნატიული ინტეგრაციული პროექტების - ძირითადად „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის" - თავს მოხვევას. დღეისათვის, ამ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა დე-ფაქტო ფუნქციონირება შეწყვიტა და მათი დამფუძნებლები და წარმომადგენლები სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში გადაბარგდნენ, მათ შორის მედიასა და პოლიტიკაში.

იქედან გამომდინარე, რომ ქართულმა საზოგადოებამ ღიად პრორუსული ან კრემლთან დაკავშირებული ორგანიზაციების მიმართ გარკვეული მედეგობა გამოავლინა, რუსეთის მიერ ამ ჯგუფების დაფინანსება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა და კრემლმა თავისი ფოკუსი ულტრა ნაციონალისტურ ჯგუფებზე გადაიტანა. ბოლო წლების განმავლობაში, ამ რადიკალურმა ჯგუფებმა და ორგანიზაციებმა არაერთი საპროტესტო მსვლელობა გამართეს ჯორჯ სოროსის, „ფონდ ღია საზოგადოების", თუ მიგრანტების წინააღმდეგ, რამოდენიმეჯერ ძალადობრივად თავს დაესხნენ „ლგბტქ" ჯგუფებს და განახორციელეს ვანდალური ქმედებები (ძირითადად) თურქული ბიზნესების წინააღმდეგ. ამ კუთხით გამორჩეული ორგანიზაციებია: „მსოფლიოს საოჯახო კონგრესი", რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს კრემლსა და რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, „პატრიოტთა ალიანსი" და მისი თურქოფობიური და ისლამოფობიური რიტორიკა და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი". ასევე, „ქართული მარში", რომელიც ესტონეთის საგარეო დაზვერვის მიხედვით ექსტრემისტული მოძრაობების ქოლგა ორგანიზაციას წარმოადგენს. ექსპერტულ საზოგადოებებში სჯერათ, რომ ამგვარი ექსტრემისტული და რადიკალური ჯგუფები არამხოლოდ იდეოლოგიური, არამედ

ფინანსური სტიმულებით არიან მოტივირებულები.

კრემლის გავლენების და ნარატივების კიდევ ერთ სამიზნეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები წარმოადგენენ. როგორც ამ კვლევის წინა თავებშია აღნიშნული, საქართველოს საპატრიარქოში არაერთი მაღალი სასულიერო იერარქია, რომლებს აცალხლო კავშირები აქვთ რუსული მართლმადიდებლურ ეკლესიის წარმომადგენლებთან და რომლებიც ღიად გამოხატავენ და ავრცელებენ პრორუსულ ნარატივებსა და არგუმენტებს. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის თანამონაწილეობა და ჩართულობა იმ ანტიდასავლური გზავნილებისა და დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელებაში, რომელიც დასავლურ ღირებულებებს მართლმადიდებლობასთან შეუთავსებლად წარმოაჩენს, აშკარაა და ფაქტებით დასტურდება. არსებობს უამრავი დოკუმენტირებული საბუთი იმისა, რომ საპატრიარქოს წარმომადგენლები კრემლისტურ ჯგუფებს ღიად უჭერენ მხარს და მათ მიერ ორგანიზებულ აქციებსა და მსვლელობებშიც აქტიურად მონაწილეობენ.

საქართველო მრავალ-ეთნიკური ქვეყნაა, სადაც მოსახლეობის 10% ძირითადად აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელია. ეთნიკური ჯგუფების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ქართული ენის არ ცოდნა წარმოადგენს. ამ ჯგუფების ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრაციის, დამატებით საქართველოში მათ მშობლიურ ენებზე მაუწყებელი ტელევიზიების არარსებობა აფერხებს, რაც ამ ჯგუფებს უცხოურ და ხშირ შემთხვევაში რუსულ საინფორმაციო წყაროებზე დამოკიდებულს ხდის. ქვეყნის გარედან მომდინარე ინფორმაციაზე დამოკიდებულება შესაძლოა პოლიტიკურ ზეგავლენა შიგადაიტარგმნოს, რადგან მსგავსი დამოკიდებულება რუსული პროპაგანდის გავრცელებას უხსნის გზას. რუსეთი საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მოწყვლად წერტილებს ეფექტურად იყენებს დეზინფორმაციული კამპანიების საშუალებით ინტერ-ეთნიკური დაპირისპირებების გასაღვივებლად. მაგალითისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-სადაზვერვო მონაცემების მიხედვით, არაერთი ჯგუფი და პიროვნება მოქმედებს ქვეყნაში, რომლებიც ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ეთნიკური დაპირისპირების გაღვივებას ცდილობენ.

„სუს"-ის წლიური ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ქართული კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორ მნიშვნელოვან გამოწვევას რუსული ოკუპაცია და საქართველოში უცხოური სადაზვერვო სააგენტოების აქტივობები წარმოადგენს. ანგარიშები მიუთითებენ, რომ უცხოური სადაზვერვო სააგენტოები, ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების სრულ არსენალს აქტიურად იყენებენ საქართველოში, ისეთებს როგორებიცაა პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მედია კამპანიები, კიბერ შეტევები და ოპერაციები. ესტონეთის საგარეო დაზვერვის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე სანდო და ზუსტი წყაროა საქართველოსთან დაკავშირებით, რუსეთი საქართველოში მისი გავლენის გასაძლიერებლად სხვა არაერთ საშუალებასაც იყენებს. რბილი ძალის ინსტრუმენტებს შორის ნახსენებია რუსეთთან დაკავშირებულ იორი ინსტიტუტი: „ევგენი პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი" და „ალექსანდრე გორჩაკოვის სახალხო დიპლომატიის ფონდის" ქართული ოფისი.

გრძელვადიან პერსპექტივაში, კრემლის პროპაგანდა საქართველოში დასავლეთის მიმართ ნეგატიური სენტიმენტების გაძლიერებას და შიდა დაპირისპირების გზით ქართული საზოგადოების ერთიანობის სრღვევასისახავს მიზნად. კრემლის მოკლევადიანი მიზნები არჩევნებში ჩარევასა და პრორუსული კანდიდატების მხარდაჭერას, სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე დაბნეულობისა და გაურკვევლობის დათესვას და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შერყევას მოიცავს. საქართველოში კრემლის დეზინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით ვრცელდება, როგორებიცაა სოციალური ქსელები, ბეჭდური და ონლაინ მედია, სატელევიზიო მაუწყებლები.

პრორუსული დეზინფორმაციის წყაროები მხოლოდ ცნობილ კრემლისტურ მედიებს (როგორებიცაა „სპუტნიკ საქართველო" და „ნიუსფრონტი") არ მოიცავს, არამედ ისეთ ქართულ მედია გამოცემებს, როგორებიცაა „ასავალ-დასავალი", „საქართველო და მსოფლიო", „საქინფორმი" თუ „ობიექტივი".

ჩინეთის გავლენა საქართველოში, ყველაზე თვალსაჩინოდ არასამთავრობო სექტორსა და ეკონომიკურ საინვესტიციო პროგრამებში ვლინდება. ჩინეთის გავლენები ასევე აკადემიურ სივრცეშიც შეიმჩნევა, ვინაიდან არაერთმა ქართულმა კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტმა, „ქართულ-ჩინური მეგობრობის ასოციაციასთან" (GCFA) თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მსგავსი მეგობრობის ასოციაციები ჩინეთის გლობალური გავლენის აპარატის მნიშვნელოვან სვეტს წარმოადგენს, რაც ამ „პარტია-სახელმწიფოს" საგარეო პოლიტიკური ინტერესების სისტემურ მიღწევას ისახავს მიზნად. ქართულ-ჩინური „ენჯეო" ისტებლიშმენტი ჩინეთის ფართო ამოცანებს ემსახურება, რაც სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ-კვლევით ინსტიტუტებში ინფილტრაციის გზით, საინფორმაციო სივრცეზე ზემოქმედების მოხდენასა და ჩინეთის საქართველოსთვის სანდო და უმთავრეს პარტნიორად წარმოჩენას ისახავს მიზნად.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩინეთი ასევე აქტიურად იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს. როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფო ინსტიტუტები, საქართველოს ეკონომიკაში ჩინური კომპანიების მოქმედების პროცესში წარმოქმნილი კორუფციისა და მაქინაციების რისკების მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენენ. ადგილობრივი ხელისუფლების არაკეთილსინდისიერი მოქმედების გამო, არაერთი ჩინური კომპანია, საეჭვო საერთაშორისო რეპუტაციით, შეუფერხებლად მონაწილეობს საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.